



ატარა, გოლდერძის უღელტეხილი

ახალი ამბები

გვ. 2-3



საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრების ხელმძღვანელობით, ბაქოში საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომა გაიმართა

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა ხელი მოაწერეს საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომის ოქმს. ასევე, შეთანხმებები გაფორმდა ორი ქვეყნის დარგობრივ უწყებებს შორის. კერძოდ, ხელი მოეწერა განზრახვობათა ოქმს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის; ხელი მოეწერა მემორანდუმებს: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ციფრული განვითარებისა და ტრანსპორტის სამინისტროს შორის საზღვაო ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის საკონსულტაციო საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის, პურის მრეწველთა კავშირის და წისქვილკომბინატების წარმომადგენლებს შეხვდა



ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2024 წელს ქართული ღვინო მსოფლიოს 21 ქვეყანაში იყო წარდგენილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეყვანილი უწყებების მიერ 2024 წელს შესრულებული სამუშაოს მოკლე ანგარიში

გვ. 10

მინის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო

გვ. 4

სოფლის განვითარების სააგენტოს

გვ. 11

საქართველოს მელიორაცია

გვ. 5

ღვინის ეროვნული სააგენტოს

გვ. 12

გარემოს ეროვნული სააგენტოს

გვ. 6

სურსათის ეროვნული სააგენტოს

გვ. 13

ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს

გვ. 7

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

გვ. 14

ეროვნული სატყეო სააგენტოს

გვ. 8

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

გვ. 15

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

გვ. 9

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

გვ. 8

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრების ხელმძღვანელობით, ბაქოში საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომა გაიმართა



კომისიის სხდომაზე, რომელიც ირაკლი კობახიძემ და ალი ასადოვმა გახსნეს, საგარეო პოლიტიკურ დიალოგზე, სავაჭრო-ეკონომიკურ და სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ქართული დელეგაციის მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სხდომა ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაფართოებას.

„მსურს, კიდევ ერთხელ დავადასტურო, რომ საქართველო და აზერბაიჯანი მტკიცედ უჭერენ მხარს ერთმანეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და მინდა ამისთვის მადლობა გადაგიხადოთ. უდავოა, რომ რეგიონსა და მსოფლიოში სწრაფად ცვალებადი და რთული გეოპოლიტიკური ვითარების პირობებში, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობასა და სტაბილურობას, როგორც საკვანძო მოცემულობას რეგიონული განვითარებისა და მდგრადი კეთილდღეობისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი ძალისხმევით არა თუ გადავლახავთ ყველა გამოწვევას, არამედ, გამოვიყენებთ არსებულ შესაძლებლობებს კიდევ უფრო ეფექტიანი თანამშრომლობისათვის. ჩვენ გულწრფელად ვართ დაინტერესებული განვახორციელოთ კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯები და ხელი შევუწყოთ თანამშრომლობას რეგიონში, საქართველო მხარეებს სთავაზობს სამხრეთი თანამშრომლობის ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიის



სამივე ქვეყნის ჩართულობას სხვადასხვა სფეროების მიმართულებით. რეგიონული თანამშრომლობის კონტექსტში, მნიშვნელოვანია ენერგეტიკული და სატრანსპორტო მარშრუტების წარმატებული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, არსებული კონფლიქტების დარეგულირება და რეგიონში უსაფრთხოების ხელშეწყობა“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძის თქმით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანი ბოლო წლების მანძილზე საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ხუთეულშია.

„ამ მხრივაც, აზერბაიჯანი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია.

ჩვენ ერთობლივად ვახორციელებთ ისეთ უმნიშვნელოვან რეგიონულ პროექტებს, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, ბუნებრივი აირის სამხრეთ დერეფნის პროექტები, შუა დერეფნის პროექტი, ასევე შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი. აუცილებელია ძალისხმევის მიმართვა ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის

უზრუნველყოფის და ხელშეწყობის მიმართულებით“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ქვეყანაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები და პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ხელახლა არჩევა მიულოცა ალი ასადოვმა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ირაკლი კობახიძის ვიზიტი აზერბაიჯანში ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების მაღალ დონეზე მიუთითებს.

„2024 წელი როგორც აზერბაიჯანის, ასევე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი წელი იყო. აზერბაიჯანის ისტორიაში

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ტერიტორიული მთლიანობის თემაზე ურთიერთმხარდაჭერა. ჩვენი ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობა ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველო აზერბაიჯანის ერთ-ერთი უმთავრესი სავაჭრო პარტნიორია“, - განაცხადა ალი ასადოვმა.

აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის შეფასებით, აზერბაიჯანისა და საქართველოს მიერ ერთობლივად განხორციელებული მეგაპროექტები წარმატებული რეგიონული თანამშრომლობის მაგალითია.

„აღნიშნული პროექტები სამხრეთ კავკასიის ტრანსფორმაციას ემსახურება, ასევე შეიცვალა რეგიონის ენერგეტიკული და სატრანსპორტო რუკა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხრეთის დერეფანი. ჩვენი ქვეყნები ამ სტრატეგიული პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. დღეს ჩვენ ერთად ევროპაში მწვანე ენერგეტიკის ხიდს ვაშენებთ. შავი ზღვის წყალქვეშა ენერგეტიკული კაბელის პროექტი აზერბაიჯანში, საქართველოში, რუმინეთსა და უნგრეთში ხორციელდება. ეს პროექტი ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს“, - აღნიშნა ალი ასადოვმა.

კომისიის სხდომაში ორი ქვეყნის მთავრობის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა.

სხდომის შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრებმა ხელი მოაწერეს საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომის ოქმს. ასევე, შეთანხმებები გაფორმდა ორი ქვეყნის დარგობრივ უწყებებს შორის. კერძოდ, ხელი მოეწერა განზრახვობათა ოქმს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის; მემორანდუმებს: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ციფრული განვითარებისა და ტრანსპორტის სამინისტროს შორის საზღვაო ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის საკონსულო საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის, პურის მრეწველთა კავშირის და წისქვილკომბინატების წარმომადგენლებს შეხვდა



მინისტრმა, შეხვედრის მონაწილეებთან ერთად, სექტორში არსებული ვითარების დეტალები განიხილა და ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული მიმართულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საკითხს.

სახელმწიფოსთვის კერძო სექტორის მხარდაჭერა პრიორიტეტია. დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებთან, მწარმოებლებთან შეხვედრებზე განიხილება ყველა გამოწვევა და გადაწყვეტილებები შეჯერებული მოსაზრებების საფუძველზე მიიღება.

მხარეებმა შეხვედრაზე წარმოებებში დასაქმების, ბაზრების დივერსიფიცირების და ფასების რეგულაციების საკითხებზე იმსჯელეს. როგორც დავით სონღულაშვილმა აღნიშნა,

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძე და შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.



„ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტის შედეგად, ჯამურად, მიღებულია 565 მლნ აშშ დოლარის რეკორდული შემოსავალი“

ხელისუფლების მიერ გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები, 2023 წელთან შედარებით, 24%-ითაა გაზრდილი.

კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს დარგთან მიმართებით არის სწორი და თანმიმდევრული“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროდუქცია ექსპორტირებულია 70 ქვეყანაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ბაზრები დივერსიფიცირებულია. ექსპორტის ზრდა განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის მიმართულებით ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა პოლონეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და ა.შ., რაც

როგორც დავით სონღულაშვილმა აღნიშნა, სახელმწიფო გააგრძელებს დარგის მხარდაჭერას. ღვინის კომპანიებს და მარნებს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცემათ საკუთარი პროდუქცია წარადგინონ ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნების ბაზრებზე, რომ გაზარდონ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია და შენარჩუნდეს ქვეყნის ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის სტაბილური განვითარება.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2024 წელს ქართული ღვინო მსოფლიოს 21 ქვეყანაში იყო წარდგენილი

ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 24 საერთაშორისო გამოფენაზე, 13 ფესტივალზე და 100-მდე დეგუსტაცია-პრეზენტაციაზე, სადაც ჯამურად ქართული ღვინის 200-მდე კომპანია მონაწილეობდა. ქართული ღვინის წარდგენები გაიმართა მსოფლიოს 20 ქვეყანაში: აშშ, პორტუგალია, ფინეთი, დანია, ავსტრია, ნორვეგია, იტალია,

ნიდერლანდები, იაპონია, პოლონეთი, გერმანია, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, უნგრეთი, კორეის რესპუბლიკა, შვეიცარია, თურქეთი, ბრაზილია და ლატვია. ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებად რჩება აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და იაპონია,

სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიები ახორციელებენ.

დეგუსტაცია-პრეზენტაციაზე, უცხოელი ღვინის პროფესიონალების მონაწილეობით გაიმართა 16 ღვინის ტური, ასევე გაიმართა კონკურსები და სიმპოზიუმი.

2024 წელს, ღვინის გამოფენები, კონკურსები, ტურები და ფესტივალები გაიმართა საქართველოს მასშტაბითაც, რაც მნიშვნელოვანია ღვინის ტურიზმის პოტენციალისა და ადგილობრივ მოსახლეობაში ღვინის მოხმარების კულტურის ზრდისთვის. ქართული ღვინო საქართველოში, წარმოდგენილი იყო 54 ღონისძიებაზე, მათ შორის, 17 გამოფენა/ფესტივალზე და 15

ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიზანია ღვინის ბაზრების დივერსიფიკაცია და საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, 2024 წელს 16 მილიონ ლარს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ოპერატიული მონაცემებით, გასულ წელს, ქართული ღვინის ექსპორტი, 2023 წელთან შედარებით, 6%-ით გაიზარდა და 95 მლნ ლიტრს მიაღწია.





www.rda.gov.ge



სოფლის განვითარების სააგენტო

სოფლის განვითარების სააგენტო



სოფლის განვითარების სააგენტო აგრარული დარგის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა კომპონენტის მხარდასაჭერად.

- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვარეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიმართულებით, 2024 წელს 5,300-ზე მეტ ბენეფიციარზე გაცემულია 968.5 ლარის ღირებულების შეღავათიანი აგროკრედიტი, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა სესხის პროცენტის თანადაფინანსებამ 227 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა.
 - ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება თანამედროვე ხეხილის ბაღების ფართობები, რაც ერთ-ერთი წარმატებული სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ შედეგია. 2024 წელს, სახელმწიფოს მხარდაჭერით 18,978,667 ლარით თანადაფინანსებულია 2,265 ჰა-ზე ახალი ბაღების გაშენება.
 - სახელმწიფო მხარს უჭერს პროდუქციის შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნას. 2024 წელს 14 კომპანიას გაუფორმდა ხელშეკრულება გადამამუშავებელი საწარმოსა და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნობრივობით. სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 5.6 მლნ ლარია.
 - გასული წლების მსგავსად, ხორცილდება არაერთი პროგრამა სხვადასხვა სიმძლავრის, ახალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით. 2024 წელს მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების და კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა 33.3 მლნ. ლარის ღირებულების 332 ერთეული ტექნიკის შეძენა.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდასაჭერად სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამა ხორციელდება. გარდა ამისა, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებით გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დამატებითი შეღავათი, რაც გულისხმობს სხვადასხვა პროგრამაში თანადაფინანსების მეტი პროცენტის გაცემას.
- ხორციელდება ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სერტიფიცირების, საკონსულტაციო მომსახურების, მევენახეობისა და მეფუტკრეობის

- ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქების ან/და ბიოპრეპარატების თანადაფინანსებას. ბიოწარმოების პროგრამის ფარგლებში, 2024 წელს, 191,090 ლარით თანადაფინანსებულია 14 ბიომწარმოებელი.
- ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება ქვეყნისთვის ტრადიციული დარგების განვითარება. ამ მიზნით სახელმწიფო ახორციელებს პროგრამას „ქართულ ჩაი“. 2024 წელს, პროგრამის ფარგლებში, 294 ჰა-ზე ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია თანადაფინანსებულია 737,085 ლარით.
- თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობისა და მეთხილე ფერმერების მხარდასაჭერად მიზნობრივი პროგრამა ხორციელდება. 2024 წელს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 95 ათასამდე მოსარგებლის 45,213 ჰექტარი თხილის ბაღი დარეგისტრირდა თხილის კადასტრში. ფერმერებმა მიიღეს დაახლოებით 21.5 მლნ. ლარის მიზნობრივი დახმარება.
- სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამა ფერმერებს შესაძლებლობას აძლევს კლიმატური რისკებისგან დაიცვან საკუთარი მოსავალი. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 2024 წელს დაზღვეულია 16,400 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი. ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 19.7 მლნ ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 13.8 მლნ. ლარია. აღსანიშნავია რომ 2024 წელს აგროდაზღვევის პროგრამაში შესული ცვლილებების თანახმად, გაიზარდა დასაზღვევი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის ფართობი - ნაცვლად 10 ჰექტარისა, შესაძლებელია არაუმეტეს 20 ჰექტარის დაზღვევა; მარცვლეული კულტურის დაზღვევის შემთხვევაში კი, ნაცვლად 50 ჰექტარისა, არაუმეტეს 100 ჰექტარის. მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემთხვევაში, შემცირდა ზარალის შეფასების ვადები და ნაცვლად 21 დღისა, განისაზღვრა 15 დღით. ასევე, სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების ნაწილში შეიცვალა დაზღვევის მიერ მზღვეველისათვის სატელეფონო შეტყობინების ვადა, ნაცვლად 24 საათისა, განისაზღვრა 72 საათით.
- ხარისხიანი და უვნებელი

- აგროპროდუქციის წარმოებისათვის სოფლის განვითარების სააგენტო აგრომწარმეებს ხელს უწყობს სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვის, პროდუქციის ბრენდირებისა და შეფუთვის, ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მართვის საკონსულტაციო მომსახურების, პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსებასა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ღირებულების თანადაფინანსებაში. ამ მიმართულებით 2024 წელს 80 ხელშეკრულება გაფორმდა, სააგენტოს თანადაფინანსება 941,829 შეადგენს.
- 2024 წელს არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულმა 45 ათას ტონაზე მეტი არასტანდარტული ვაშლი ჩაიბარა. შედეგად, ფერმერებმა 4.5 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს.
- მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნით ხორციელდება სპეციალური პროგრამა. 2024 წელს, პროგრამით დაფინანსდა 58 ბიზნეს იდეა, ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 9,197,695 ლარი, ხოლო სახელმწიფო თანადაფინანსების ოდენობამ 4,729,971 ლარი. სოფლის განვითარების სააგენტოს აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები, მოთხოვნიდან და არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, ყოველწლიურად იხვეწება, ემატება ახალი ინიციატივები და პროგრამები.
- „მერძეეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის“ სახელმწიფო პროგრამას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მხარდაჭერით ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში 2024 წელს 17,570,997 მლნ ლარით თანადაფინანსებულია 513 ბენეფიციარი.
- 2024 წელს, მეფუტკრეობის დარგის მხარდასაჭერად მეფუტკრეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, რომელთა მიზანია ხარისხიანი თაფლის წარმოების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში 155 ბენეფიციარს 470,178 ლარით დაუფინანსდა 952,297 ლარის ღირებულების სკების შეძენა.

- მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ფერმერების მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, „მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა“ განხორციელდა. მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, მცირეგაბარიტის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა 3,594 პირს 4,994,975 ლარით დაუფინანსდა.
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, 2024 წლიდან, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონში ირიგაციით უზრუნველყოფილ მიწის ნაკვეთებზე „სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ იმპლემენტაცია დაიწყო.
- 2024 წელს ახალი პროგრამა „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“ დაიწყო, რომლის მიზანი ქვეყნის მასშტაბით ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ხელშეწყობაა. პროგრამის ფარგლებში 24 ბენეფიციართან გაფორმდა ხელშეკრულება, თანადაფინანსება 1,250,828 ლარია.
- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 48 მწარმოებელ კომპანიას ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა პროდუქცია. ქართულმა კომპანიამ წარმოადგინა საკუთარი პროდუქცია სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაზე გერმანიაში, ლატვიაში, საუდის არაბეთში, აზერბაიჯანში, ნიდერლანდებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.
- სოფლის განვითარების სააგენტო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, პროგრამას „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“ კახეთსა და შიდა ქართლში ახორციელებს, 2024 წელს ჩატარდა საბაზისო კვლევა, რომელიც მოიცავდა ფერმერების ინტერესების განსაზღვრას მათთვის აგროკონსულტაციების მიწოდების საჭიროების შესახებ. შემუშავდა მცენარის განვითარების ფაზების, კლიმატური და მავნებელ დაავადებების რისკების აგრო კალენდარი, ყოველთვიური და ყოველკვირეული სარეკომენდაციო რჩევები; შეიქმნა GECSA-ს აპლიკაციის დემოვერსია. პროექტში ჩართულ ორივე რეგიონში 2024 წელს დამონტაჟდა 9 მეტეოსადგური და 1 მავნებლების იდენტიფიცირების მოწყობილობა.

სოფლის განვითარების სააგენტო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ახორციელებს პროგრამას „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობაში“. პროგრამა ექსტენციის სამსახურების ინსტიტუციური გაძლიერებისა და მცირე ფერმერებისთვის ექსტენციის მომსახურების მოქნილი, მრავალფეროვანი და ეფექტიანი მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, იმერეთის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის

რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გეოგრაფიულ არეალში მიმდინარეობს. პროგრამის ფარგლებში, 2024 წელს, შემუშავდა ხორბლისა და კარტოფილის შესახებ საექსტენციო პაკეტი, რომელიც მიზნობრივ რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის ითარგმნა სომხურ ენაზე. გამოცხადდა სტარტაპ გრანტები, რომლებიც მოიცავს ექსტენციის კომპონენტს და ცოდნის გადაცემის მექანიზმებს; პროგრამის ფარგლებში, მიზნობრივ რეგიონებში პროფესიული და უმაღლეს სასწავლებლების

სტუდენტებისათვის სტაჟირების პროგრამა ამოქმედდა.

- სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები და პროექტები მოიცავს, როგორც ენერგოეფექტური მრეწველობის, ასევე, ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციის თანადაფინანსების შესაძლებლობას.
- ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისა და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით, ხორციელდება „ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების

პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში, 2024 წელს, საქართველოს მასშტაბით 361 ერთეული ენერგოეფექტური ღუმელის შესყიდვა თანადაფინანსდა. აღსანიშნავია, რომ ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამა ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა - „ECO.Georgia“ ფარგლებში.



www.wine.gov.ge

ღვინის ეროვნული სააგენტო



სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ძირითადი საქმიანობა მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო რამდენიმე მიმართულებით მუშაობს:

- მევენახეობის განვითარება
- ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა
- რთველის პროცესის ხელშეწყობა
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია
- ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა

2024 წელი საქართველოს მელვინეობის ინდუსტრიისთვის წარმატებული იყო: საქართველოდან ქართული ღვინის და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის შემოსავლებმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს: დაბინავდა და გადამუშავდა რეკორდული რაოდენობის ყურძენი, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენასა და ფესტივალზე, ქვეყნის მასშტაბით აქტიურად გაგრძელდა ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და მის სამომხმარებლო კულტურის ზრდაზე ორიენტირებული აქტივობები, ჩატარდა ღონისძიებები ქართული ღვინის ხარისხის მონიტორინგის მიმართულებით, გაგრძელდა ვენახების კადასტრის ეროვნული პროგრამა, გატარდა მევენახეობა-მელვინეობის დარგის განვითარების კენ მიმართული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია ღვინის ბაზრების დივერსიფიკაცია და საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, 2024 წელს 16 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2 მილიონი ლარით აღემატებოდა 2023 წლის ანალოგიურ ბიუჯეტს.

ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 24 საერთაშორისო გამოფენაზე და 13 ფესტივალსა და 98 დეგუსტაცია-პრეზენტაციაზე, რომლებშიც, ჯამურად, ქართული ღვინის 200-მდე კომპანია მონაწილეობდა. ქართული ღვინო წარდგენილი იყო მსოფლიოს 20 ქვეყანაში: აშშ, პორტუგალია, ფინეთი, დანია, ავსტრია, ნორვეგია, იტალია, ნიდერლანდები, იაპონია, პოლონეთი, გერმანია, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, უნგრეთი, კორეის რესპუბლიკა, შვეიცარია, თურქეთი და ლატვია.

ქართული ღვინისთვის პრიორიტეტულ ბაზრებად რჩება: აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და იაპონია, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიები ახორციელებენ.

ღვინის გამოფენები, კონკურსები, ტურები და ფესტივალები გაიმართა საქართველოს მასშტაბითაც, რაც მნიშვნელოვანია ღვინის ტურიზმის პოტენციალისა და ადგილობრივ მოსახლეობაში ღვინის მოხმარების კულტურის ზრდისთვის. ქართული ღვინო საქართველოში, წარმოდგენილი იყო 54 ღონისძიებაზე, მათ შორის, 17 გამოფენა/ფესტივალზე და 15 დეგუსტაცია-პრეზენტაციაზე, უცხოელი ღვინის პროფესიონალების მონაწილეობით გაიმართა 16 ღვინის ტური, ასევე გაიმართა კონკურსები და სიმპოზიუმი.

ამასთან ერთად, საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წლის სექტემბერში დამტკიცებული „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსება მოხდა 416,707 ლიტრ ექსპორტირებულ ღვინოზე, პროგრამით ისარგებლა ხუთმა კომპანიამ, თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 243,281.28 ლარი.

პროგრამის მიზანია საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის, კონკურენტუნარიანობისა და ცნობადობის გაზრდა, სტრატეგიული და პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია. ღვინის ეროვნული სააგენტო, მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსებას მხოლოდ იმ კომპანიებისთვის განახორციელებს, რომლებიც ექსპორტს პრიორიტეტულ ბაზრებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებენ, გარდა დსთ-ს და სუამ-ის ქვეყნებისა.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 2024 წლის ექსპორტი

2024 წელს საქართველოდან მსოფლიოს 72 ქვეყანაში ექსპორტირებულია 95 მლნ-მდე ლიტრი, 276,1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაოდენობრივმა 6%, ხოლო შემოსავლების ზრდამ 7% შეადგინა.

ექსპორტის ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: პოლონეთი - 12% (6,7 მლნ ლიტრი), გერმანია - 30% (1,28 მლნ ლიტრი), აშშ - 32% (1,2 მლნ ლიტრი), ლიეტუვა - 11% (707 ათასი ლიტრი), დიდი ბრიტანეთი - 42% (425,6 ათასი ლიტრი), თურქეთი - 62% (538 ათასი ლიტრი), აზერბაიჯანი - 34% (237 ათასი ლიტრი), კანადა - 16% (198 ათასი ლიტრი), ისრაელი - 2% (314 ათასი ლიტრი), არაბეთის გაერთიანებული ემირატები - 80% (70 ათასი ლიტრი), სამხრეთ კორეა - 26% (72,5 ათასი ლიტრი) და ა.შ.

ამასთან ერთად, მსოფლიოს 56 ქვეყანაში ექსპორტირებულია 48 მლნ ლიტრი სპირტიანი სასმელები; ზრდამ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 53% შეადგინა. სპირტიანი სასმელების ექსპორტიდან შემოსავლების სახით მიღებულია 289 მლნ-მდე აშშ დოლარი (ზრდა 47%).

ჯამურად, ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტიდან, შემოსავლების სახით მიღებულია 565 მლნ აშშ დოლარი, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

რთველი 2024

2024 წელს, რთველის ფარგლებში, გადამუშავდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო რაოდენობის, 320 ათას ტონამდე ყურძენი, რაც, დაახლოებით, 45%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. აქედან, მევენახეობის მთავარ რეგიონებში - კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში გადამუშავდა 291 ათას ტონამდე ყურძენი. მოსავლის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 390 მილიონ ლარს მიაღწია.

მევენახე ფერმერების მიერ მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის, ყურძნის ხარისხის შენარჩუნებისა და მელვინეობის დარგის სტაბილური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობამ რთველის სუბსიდირება განახორციელა:

- ✓ კახეთის რეგიონში სახელმწიფო სუბსიდია მიიღო ყველა იმ კომპანიამ, რომელმაც 1 კგ რეაქტივში მევენახეს არანაკლებ 1.00 ლარი გადაუხადა.
- ✓ 2024 წლის 13 სექტემბრიდან, შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ მევენახე ფერმერებისგან 1 კგ საფერავის ჯიშის ყურძენს 1.50 ლარად იბარებდა. ხოლო მევენახეებმა, რომლებსაც 13 სექტემბრამდე ლარნახევარზე ნაკლებ ფასად ჩააბარეს საფერავის ჯიშის ყურძენი, საქართველოს მთავრობამ დაუკომპენსირა სხვაობა

ლარნახევიარსა და მიღებულ საფასურს შორის.

- ✓ რაჭის რეგიონში სუბსიდია მიიღო ყველა იმ კომპანიამ, რომელმაც ხვანჭკარას მიკრობიონაში მოწეული 1 კგ ალექსანდროლისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენში მევენახეს გადაუხადა არანაკლებ 8 ლარი. 1 კგ ალექსანდროლისა და 1 კგ მუჯურეთულის შესყიდვის სანაცვლოდ, კომპანიებზე 4 ლარის ოდენობის სახელმწიფო სუბსიდია გაიცა.

გაცემული სუბსიდიის ჯამურმა ოდენობამ 27 მლნ ლარი შეადგინა.

■ ხარისხის კონტროლი

საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლს რეგულარულად ახორციელებდნენ.

■ ვენახების კადასტრი

გაგრძელდა ვენახების კადასტრის პროგრამის სრულყოფის სამუშაოები და ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის პროგრამა.

■ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) თავმჯდომარეობის შედეგები

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 15-16 აპრილს, ბელგიის სამეფოს დედაქალაქ ბრიუსელში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) შეხვედრაზე, საქართველოს თავმჯდომარეობის ერთწლიანი პერიოდი და მიღწეული შედეგები, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მხრიდან დადებითად შეფასდა.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) წევრ ქვეყნებთან ერთად (საქართველო, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ურუგვაი)

შეხვედრას დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსით, დიდი ბრიტანეთის დელეგაციაც დაესწრო.

2023 წლის 1 მაისიდან, აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა საქართველოს ერთი წლის ვადით ამერიკის შეერთებული შტატებიდან როტაციის პრინციპით გადმოეცა. თავმჯდომარეობის პერიოდში ორგანიზაციის საქმიანობის მთავარი კოორდინატორი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა და სავაჭრო ბარიერების მოხსნისათვის ერთობლივი ქმედებების განხორციელება.



nfa.gov.ge

სურსათის ეროვნული სააგენტო



■ სურსათის უვნებლობა

მომხმარებელთა ინტერესებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის შესაბამისად, ყოველწლიურად ახორციელებს სამომხმარებლო ბაზრის, მათ შორის, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების კვების ბლოკების, მარკეტების, ცხოველთა სასაკლაოების, საცხოვრებლის, აგრარული ბაზრების და ა.შ. შემოწმებას.

2024 წელს განხორციელდა 35 286 სახელმწიფო კონტროლი, გამოვლინდა 3194 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა დასახელების სურსათის/სასმელის წყლის 5226-ზე მეტი ნიმუში/სინჯია გამოკვლეული. დარღვევების მაჩვენებელმა ამ დროისთვის შეადგინა 9.3%.

ვადაგასული ან/და შეუსაბამო სურსათის გამოყენებისა და რეალიზაციის ფაქტების გამოვლენის შედეგად, სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით განადგურდა:

ხორცი და ხორცპროდუქტები - 14 702 კგ; სხვა მყარი სურსათი - 7 068 კგ.; თხევადი სურსათი - 6 713 ლ.; კვერცხი - 726 ც.

მომხმარებლის ჩართულობა

2024 წელს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შემოვიდა: 1510 შეტყობინება (მოქალაქეთა სატელეფონო შეტყობინება - 1419, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან/საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან - 24, სხვა უწყებებიდან - 67), რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირება.

RASFF-ის შეტყობინება

ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის (DG SANTE) ევროპის კომისიის RASFF-ის სწრაფი განგაშის სისტემით, სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა 14 შეტყობინება, რაზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება დადგენილი დროის ინტერვალში;

ბიზნესსექტორთან კომუნიკაცია

ბიზნესსექტორების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გაიმართა სამუშაო შეხვედრები (38 შეხვედრა) და ტრენინგები (57 ტრენინგი) საკანონმდებლო ცვლილებებთან და სურსათის უვნებლობის სფეროში არსებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

■ ვებპორტალი

2024 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებპორტალის დეპარტამენტს, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ორგანომ „URS“ (UNITED REGISTAR OF SYSTEMS), სერტიფიცირების პროცესის წარმატებით გავლის შედეგად, მართვის ხარისხის სისტემის ISO 9001:2015-ის სერტიფიკატი მიანიჭა. საერთაშორისო სტანდარტი ადასტურებს მართვის ხარისხის სისტემების მაღალ საფეხურს, სააგენტოს ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრას, მათთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების სწორად მართვას, ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, ისეთი სისტემების ფუნქციონირებას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს ვებპორტალზე ზედამხედველობის სტანდარტებს და შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო სტანდარტის მართვის ხარისხის სისტემის სერტიფიკატი

ISO 9001:2015 2023 წლის ნოემბრიდან აქვს მინიჭებული სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიმართულებითაც.

ეპიდოლოგიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, წინასწარი მონაცემებით, ცხოველთა დაავადებებზე (თურქული, ჯილეხი, ბრუცელოზი, ცოფი, ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი) განხორციელდა 7 662 235 მანიპულაცია (ვაქცინაცია/რევაქცინაცია).

ყირიმ-კონგოს ეპიდემიოლოგიურ კერებში დამუშავებულია 6 080 მსხვილფეხა საქონელი.

ბიოუსაფრთხოების პუნქტებზე დამუშავებულია ზაფხულის საძოვრებზე მიგრირებული 9277 მსხვილფეხა და 937 194 წვრილფეხა საქონელი.

2024 წელს ცხოველთა იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის პროგრამის ფარგლებში:

- დარეგისტრირდა 636 საფუტკრე მურნეობა, 24 159 ფუტკრის ოჯახი;
- იდენტიფიცირებულია 785 914 - მსხვილფეხა და 615 915 - წვრილფეხა საქონელი.

პრეპარატების ხარისხის შემოწმების მიზნით, განხორციელდა 1348 სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი, გამოვლინდა 37 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ექსპორტი

სააგენტოს ინსპექტორების მიერ, ცოცხალ ცხოველებსა და ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ტვირთზე საქესპორტოდ გაიცა 3877 ვეტერინარული სერტიფიკატი.

ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის სამართველომ სახელმწიფო რეგისტრაციაში გაატარა - 328 ვეტერინარული პრეპარატი.

■ მცენარეთა დაცვა

სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ზიანის შემცირების მიზნით, 2023 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტმა ჩაატარა მასშტაბური ღონისძიებები:

- იტალიური და მაროკოული კალიების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 83 900 ჰექტარამდე ფართობი და მონიტორინგი ჩატარდა 297 000 ჰექტარამდე ფართობზე;
- ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ კახეთის რეგიონში დამუშავდა 2580 ჰა;
- 2024 წლის სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამის „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები“ ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში დამუშავდა 360 000 ჰექტარამდე ფართობი. „მოიხიდე და გაანადგურე“ სადგურებზე დამონტაჟდა 110 000-ზე მეტი ფერომონი. მავნებლის გავრცელების კონტროლის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა მონიტორინგი (განთავსდა 6 820 ფერომონიანი დამჭერი).

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი

2023 წელს, ქვეპროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსამიედოობა“ ფარგლებში, განხორციელდა 728 სახელმწიფო კონტროლი. ქვეყნის მასშტაბით აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეულია პესტიციდის 450 და აგროქიმიკატის 50 ნიმუში.

პესტიციდების და აგროქიმიკატების რემისტრაცია

2024 წელს გადაიხდა პესტიციდების ნუსხა და დარეგისტრირდა ეფექტიანი, ადამიანისა და გარემოსათვის ნაკლებად საშიში, 228 პესტიციდი და 252 აგროქიმიკატი.

ექსპორტი

სააგენტოს ფიტოსანიტარი ინსპექტორების მიერ, გაიცა 9 200 ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, რის საფუძველზეც საქართველოდან ექსპორტირებულია 529 966 ტონა მცენარეული წარმოშობის პროდუქცია.

■ ევროკავშირთან დაახლოება

- ევროკავშირის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური



დირექტორატისათვის DG-Sante, მომზადდა თხილის აუდიტის რეკომენდაციების თანახმად განხორციელებული ღონისძიებების ანგარიში და წარმატებით დაიხურა აუდიტის პროცესი.

- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში, მომზადდა 2024 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ანგარიში.
- ევროკავშირის მესამე ქვეყნების სიაში ექსპორტიორად დარეგისტრირდა თაფლის

მწარმოებელი ექვსი საწარმო.

- ევროკავშირის მესამე ქვეყნების სიაში ექსპორტიორად დარეგისტრირდა შინაური ბინადარი ცხოველების საკვების მწარმოებელი ერთი საწარმო.
- ევროკავშირის მესამე ქვეყნების სიაში ლოკოკინას ექსპორტიორად დარეგისტრირდა ერთი საწარმო.
- მომზადდა ინფორმაცია ევროკავშირის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატისათვის (DG SANTE), თაფლთან დაკავშირებული

ოფიციალური კონტროლის ზომების თაობაზე, ევროკომისიის კითხვარის შესაბამისად და ასევე, საქართველოდან ევროკავშირში გაგზავნილი პროდუქციის წინასაექსპორტო შემოწმებების შესახებ.

მარდა ამისა:

- ჩინეთში დაფინის ექსპორტიორად დარეგისტრირდა დაფინის გადამამუშავებელი 15 ბიზნეს-ოპერატორი.
- ჩინეთში თხილის ექსპორტიორად დარეგისტრირდა 3 ბიზნეს-ოპერატორი.
- მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და

შუამდგომლობები ევროკავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ეკვადორის, ჩილეს რესპუბლიკის, სერბეთის რესპუბლიკის, სომხეთის რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, თურქეთის რესპუბლიკის, ერაყის რესპუბლიკის, უკრაინის, ავსტრალიის, კანადის, ინდოეთის, ქუვეითის, ყატარის, ბანგლადეშის, მოლდოვას, ისრაელის სახელმწიფოს, ყაზახეთის, სერბეთის, ბრაზილიის, ნამიბიის და უზბეკეთის კომპეტენტურ სამსახურებთან ქართული კომპანიებისთვის ექსპორტის უფლების მინიჭების მიზნით.



www.fl.a.gov.ge

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია



სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ქსელში შედის თბილისის ლაბორატორია, ორი ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორია ქუთაისსა და ახალციხეში; ათი რეგიონული ლაბორატორია გორში, მარნეულში, დუშეთში, გურჯაანში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ბათუმში, საჩხერესა და მესტიაში.

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის (SLA) საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ცხოველთა (მ.შ., ფრინველი, თევზი, ფუტკარი) დაავადებებისა და მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა, ასევე, სურსათისა და სასმელი წყლის კვლევა.

■ ეროვნული რეფერენს სტატუსი

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ფლობს ეროვნულ რეფერენს სტატუსს. აღნიშნული სტატუსით ლაბორატორიას ეძლევა უფლებამოსილება, ჩაატაროს რეფერენტული გამოცდები სადაო საკვლევ ნიმუშებზე. ამასთანავე, ლაბორატორიას აქვს უფლებამოსილება ჩაატაროს სწავლებები, ყველა დაინტერესებული სპეციალისტის გადამზადებისა და სხვადასხვა კვლევის მეთოდის დანერგვის მიზნით.

■ ხარისხის მართვა

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ყოველწლიურად წარმატებით გადის საერთაშორისო აკრედიტაციას. 2024 წლის მონაცემებით, ლაბორატორია აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17025:2017/2018-ის მოთხოვნებს.

ლაბორატორიის ქსელში ჩატარდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის გეგმური შიდა აუდიტი. აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში შეტანილი იქნა განაცხადი სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის 2025 წლის განახლებადი აკრედიტაციის შესახებ.

■ ლაბორატორიის თანამშრომელთა გადამზადება / პროფესიული კომპეტენციის ტესტირების პროგრამა

ლაბორატორიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა როგორც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე, ლაბორატორიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას; უწყვეტად ხდება კადრების გადამზადება ლაბორატორიული კვლევის

ახალი მეთოდების დანერგვის მიმართულებით. ლაბორატორიის პერსონალს უტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგი და ტესტირება.

■ პროფესიული განათლების ხელშეწყობა

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ცდილობს მაქსიმალურად დაეხმაროს სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს მომავალი სპეციალისტების აღზრდაში. ლაბორატორიაში აქტიურად მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლებიდან და უნივერსიტეტებიდან სტუდენტების ჩართვა საწარმოო პრაქტიკაში მათი მომავალი დასაქმების მიზნით.

2024 წლის 1 აგვისტოდან სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ჩაერთო ანაზღაურებადი სტაჟირების სამთავრობო პროგრამაში. ამ ეტაპზე ლაბორატორიის სხვადასხვა დეპარტამენტში სტაჟირებას გადის 5 სტუდენტი.

■ ბიოდაცვა და ბიოუსაფრთხოება

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის თანამშრომლებს ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების, ბიოუსაფრთხოების და ბიოდაცვის ტრენინგები, კერძოდ:

- 10 თანამშრომელს ჩაუტარდა ბიოუსაფრთხოების მე-3 დონის განახლებადი ტრენინგი;
- 2 თანამშრომელს ჩაუტარდა სრული შრომის უსაფრთხოების, ბიოუსაფრთხოების და ბიოდაცვის განახლებადი ონლაინ ტრენინგი;
- 60 თანამშრომელს ჩაუტარდა შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოების,

ბიოუსაფრთხოების და ბიოდაცვის ტრენინგები შერეული ფორმატით - ადგილზე და დისტანციურად;

- 56-მა სტაჟიორმა, პრაქტიკანტმა და სპეციალისტმა გაიარა შრომის უსაფრთხოების, ბიოუსაფრთხოების და ბიოდაცვის მოკლევადიანი ტრენინგი ადგილზე.

■ რეგიონული ლაბორატორიები

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის რეგიონული ლაბორატორიები, თბილისის ცენტრალურ ლაბორატორიასთან შედარებით, მცირე ზომის, თუმცა მნიშვნელოვანი ფუნქციების მქონე ლაბორატორიებია. რეგიონულ ლაბორატორიებში მიმდინარეობს რუტინული კვლევები, რაც მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს, ადგილზე მარტივად და სწრაფად მიიღონ კვლევის შედეგები. რეგიონებში არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ლაბორატორიებში მიმდინარეობს ახალი კვლევის მეთოდების შესწავლა, დანერგვა და აკრედიტაცია.

■ ღონისძიებები და PR აქტივობები

2024 წლის განმავლობაში, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში გაიმართა არაერთი ღონისძიება - სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები, რეგიონებში ვიზიტები და ა.შ. აქტიურად მიმდინარეობდა ლაბორატორიის მიღწევებისა და სიახლეების გავრცელება შესაბამის პლატფორმებზე. დაიბეჭდა და გავრცელდა საცნობარო ლიტერატურა ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ.

■ სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დეპარტამენტების საქმიანობა

მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში დაინერგა:

- 18 კვლევა, 1 მეთოდი და 17 სტანდარტული ოპერატიული პროცედურა (SOP).

ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში დაინერგა:

- 42 კვლევა და 44 სტანდარტული ოპერატიული პროცედურა (SOP).

სურსათის კვლევის დეპარტამენტში დაინერგა:

- 5 კვლევა და 10 სტანდარტული ოპერატიული პროცედურა (SOP).

გენეტიკური ტესტირების ლაბორატორიაში დაინერგა:

- 3 კვლევა და 3 სტანდარტული ოპერატიული პროცედურა (SOP).

პოლიმერების ტესტირების ლაბორატორიაში დაინერგა:

- 2 კვლევა და 4 სტანდარტული ოპერატიული პროცედურა (SOP).

სპეციალისტებს ჩაუტარდათ ტრენინგები და სემინარები:

- დეპარტამენტების სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს საკვალიფიკაციო ტესტირებებში;
- 2024 წელს გაიმართა არაერთი საერთაშორისო შეხვედრა და სამეცნიერო კონფერენცია;
- გამოქვეყნდა დეპარტამენტების სპეციალისტების სტატიები;
- დეპარტამენტებმა წარმატებით გაიარეს 2024 წლის აკრედიტაცია.

■ სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 550 000-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების ანალიზი.

აღინიშნებოდა როგორც კერძო პირების, ასევე იურიდიული პირების მოდინება. ლაბორატორიის ფუნქციონირება ორიენტირებულია მომხმარებელზე, ამიტომ მომხმარებელთა მოთხოვნილებისა და მოლოდინის განსაზღვრა, დაკმაყოფილება, მუდმივი სრულყოფა ლაბორატორიის თითოეული თანამშრომლის მთავარი ამოცანაა.



გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

ieec.gov.ge



გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ხელს უწყობს გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულებით განათლებისა და ცნობიერების დონის ზრდას, ასევე, უზრუნველყოფს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის - ფერმერების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძო და საჯარო სექტორების, მედიასაშუალებების წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების გაძლიერებას, ტრენინგებზე, სასწავლო პროგრამებსა და კურსებზე, კონკურსებზე, საგანმანათლებლო და საინფორმაციო მასალებზე ხელმისაწვდომობის გზით. გადამწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრი გეგმავს, ორგანიზებას, კოორდინირებასა და მოდერაციას უწევს საჯარო განხილვებს.

■ სკოლაგარეშე გარემოსდაცვითი განათლება

პროგრამის „სკოლაგარეშე გარემოსდაცვითი განათლება“ ფარგლებში, 2024 წელს გადამზადდა 519 აღმზრდელ-პედაგოგი, რომლებსაც სახელმძღვანელოები და ეკოპაკეტი გადევნათ, გარემოსდაცვითი საკითხების სწავლების პროცესში გამოყენების მიზნით.

■ გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში

პროგრამის „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ ფარგლებში, 2024 წელს 823 პედაგოგი გადამზადდა, რომლებსაც გადევნათ სერტიფიკატი და დამხმარე სახელმძღვანელოები სასწავლო პროცესში აღნიშნული საკითხების უფრო ეფექტიანად ინტეგრირების მიზნით.

ცენტრის მიერ დაწყებული გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობის პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს პროგრამის „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ - საბაზო და საშუალო საფეხურების შემუშავება. 2023-2024 წლების განმავლობაში, მომზადდა პროგრამის ტექსტური ნაწილი და შემუშავდა სასწავლო მასალა, რომელიც ორივე სფეროსთვის მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს.

■ ახალგაზრდული პროგრამები

2024 წელს გარემოსდაცვითი და აგრარული პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამები ახალგაზრდებისთვის - „ეკოლიდერთა სკოლა“, „აგროსკოლა“, „სატყეო სკოლა“, „მწვანე ბანაკი - კლიმატის ელჩები“, „ახალგაზრდა მოხალისეთა ქსელი“. IX-XII კლასის 270-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა გარემოსდაცვით და აგრარულ შემეცნებით პროგრამებში.

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები:

- ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია
- გარემოსდაცვითი მმართველი
- კლიმატკონივრული სოფლის მეურნეობა

2024 წელს ცენტრის მიერ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები, ჯამში, 84-მა მსმენელმა წარმატებით დაასრულა.

■ პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

მწვანე და აგროსტიპენდიები

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ახორციელებს პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი და აგრარული დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაციას და ამ მიმართულებით, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პროფესიულის, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების წახალისებას. ყოველწლიურად გაიცემა 64 სტიპენდია 500-დან 1500 ლარის ოდენობით. კერძოდ, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები სტიპენდიას 500 ლარის, საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები - 1000 ლარის, ხოლო მაგისტრატურის კი - 1500 ლარის ოდენობით იღებენ.

მწვანე და აგროსტიპენდიების პროგრამას ყოველწლიურად 32 მწვანე და 32 აგროსტიპენდიანტი ჰყავს.

■ საგანმანათლებლო კონკურსები

კონკურსი „მწვანე ჯილო“ წარმოადგენს უმთავრეს ჯილოდ გარემოსდაცვით სფეროში, რომლის მიზანია იმ მასწავლებლებისა და ბაღის პრაქტიკოსების გამოვლენა და წახალისება, რომლებიც სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებს - „სკოლაგარეშე გარემოსდაცვითი განათლება“, „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ და ზრუნავენ ბავშვების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობაზე.

მწვანე ჯილოდ - 2024 -ის გამარჯვებულები არიან: „სკოლაგარეშე გარემოსდაცვითი განათლება 2024“ - ნინო ბარბაქაძე-კახნიაშვილი, თბილისის N126-ე საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი;

„გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში 2024“ - ნინო კაჭკაჭაშვილი, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არალისა და ვარხანის საჯარო სკოლების ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, პროექტის - „კლიმატის

ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში, ჩაატარა შემდეგი კონკურსები:

- შექმენი უსაფრთხო თემი
- ისწავლე უსაფრთხო გარემოში
- შექმენი კლიმატმეგობრული ბაღი
- ესეების კონკურსი „კლიმატის ისტორია“.

■ ტრენინგები გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულებით

გარემოსდაცვითი და სოფლის მეურნეობის მიმართულებით, 2024 წელს გამართული ტრენინგებით, ჯამში, გადამზადდა 7093 მონაწილე.

2024 წელს სკოლის მოსწავლეებისთვის მთელი წლის განმავლობაში რეგულარულად ტარდებოდა ლექცია-სემინარები გარემოსდაცვით და აგრარულ თემებზე. ლექცია-სემინარებს დაესწრო სხვადასხვა სკოლის 2838 მოსწავლე და მასწავლებელი.

■ თანამშრომელთა ტრენინგები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი უწყებების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2024 წელს განხორციელებულ ტრენინგებში 516 პირი მონაწილეობდა.

■ სერტიფიცირება

2024 წელს სერტიფიცირება გაიარა მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე 621-მა ფიზიკურმა პირმა (სერტიფიცირების ვადა - 5 წელი), 321-მა მეწარმემ და იურიდიულმა პირმა (სერტიფიცირების ვადა - 3 წელი).

■ ცნობიერების დონის ამაღლებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის

ცენტრის მიერ ჩატარებულ გარემოსდაცვითი და სოფლის მეურნეობის მიმართულებით, განათლებისა და ცნობიერების დონის ასამაღლებელ დონისძიებებში, ასევე საჯარო განხილვებში/დისკუსიებში, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 4981 - მა პირმა.

2024 წელს მომზადდა 10 ვიდეორგოლი.

■ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა

2024 წლის განმავლობაში, ცენტრის მიერ 190 საჯარო განხილვა დაორგანიზდა და ჩატარდა. სოციალური ქსელისა და ვებ გვერდის მეშვეობით, მთელი წლის განმავლობაში გავრცელდა შემოსული განცხადებები: სკოპინგის - 116, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ - 73, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება - 1,

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება - 3. სკრინინგის პროცედურის გავლის თაობაზე ინფორმაცია გავრცელდა 356 განცხადების შესახებ.

ასევე, ხორციელდება სკრინინგის, სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ არსებული დოკუმენტების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა და მიმდინარე განცხადებების ბეჭდურ მედიაში გავრცელება.

ცენტრმა, როგორც გარემოსდაცვითი პროგრამის სამდივნოს მანდატის მქონე უწყებამ, ჩაატარა გარემოსდაცვითი პროგრამის კომისიის 2 სხდომა, კოორდინაცია გაუწია სამუშაო ჯგუფის საქმიანობას, საპროექტო წინადადების მიღებას/დამუშავებას კომისიაზე წარდგენის მიზნით.

ცნობიერების ამაღლების მიზნით, შემუშავდა საინფორმაციო ბიულეტენი კომისიის მუშაობის, სტრუქტურის, საპროექტო წინადადებების შესახებ. ასევე, შეიქმნა ტრენინგ-მოდული ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის თემაზე „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემა“ და ჩატარდა შესაბამისი ტრენინგი.

■ პროექტები

ცენტრმა დონორებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განახორციელა შემდეგი ქტივობები:

- საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.Georgia;
- საქართველოს მეხუთე ეროვნული შეტყობინებისა და პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის (SNC/1BTR) შემუშავება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მიმართ;
- საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ტრენინგების (VET) სისტემების მოდერნიზება (მე-3 ფაზა);
- მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში;
- სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მასალების შემუშავება სკოლის მოსწავლეებისთვის;
- 2024 წლის განმავლობაში, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელ დონისძიებებში, ასევე საჯარო განხილვებში, მონაწილეობა, ჯამში, 12 074-მა პირმა მიიღო.





srca.gov.ge

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი



სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა, თევზების, სასოფლო-სამეურნეო სასარგებლო მწერთა გენეტიკური რესურსების მოძიება-დაცვა, აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ნიადაგის ნაყოფიერების შესწავლა, ბიოაგრონომიის ხელშეწყობა, სასელექციო და სანაშენე საქმიანობის მეცნიერული უზრუნველყოფა, სერტიფიცირების და სტანდარტიზაციის პროცესების განხორციელება, აგროსაინჟინრო საქმიანობა, კლიმატგონივრული ტექნოლოგიების გავრცელება, მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემების კვლევა, თანამედროვე ლაბორატორიული ქსელის მოწყობა, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკების შეფასება, ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, ახალგაზრდა კადრების სამეცნიერო-კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა, ფერმერთა და დაინტერესებულ პირთა ცნობადობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციური მონაწილეობა და სხვ.

2024 წელს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში აგრარული სექტორის განვითარების მეცნიერული მხარდაჭერის, მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების, თანამედროვე ტექნოლოგიების კვლევისა და დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, საქმიანობა განხორციელდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

■ **მარცვლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება-კონსერვაცია, ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან ადაპტაცია, ბიოჰიმური და კომპოზიციური მარცვლოვანი მარცვლების შესწავლა, ჯიშთა გამოცდა:**

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ადგილების, პოპულარობისა და გაცნობის მიზნით, მოეწყო თავთავიანი და ერთწლოვანი კულტურების სადემონსტრაციო ნაკვეთები - ყაზბეგში (სნო), თუშეთში (ომალო, შენაქო), მესტიაში (ბეჩო), ცაგერში (ნასპერი), სადაც დაითესა ხორბლის, ქერის და კარტოფილის ადგილობრივი ჯიშები.

2024 წელს, ადგილობრივი ფერმერების ცნობადობის და პრაქტიკული უნარების ამაღლების მიზნით, ჩატარდა ტრენინგები მარცვლოვანი კულტურების თესვისა და მოვლა-მოყვანის შესახებ.

■ **თესლისა და სარგავი მასალის წარმოების განვითარების მხარდაჭერა:**

ხორბლის, სიმინდის და ლობიოს ტრადიციული ჯიშების შენარჩუნების მიზნით, ცენტრმა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) საგრანტო პროექტის „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება ფერმერულ მეურნეობებში, in-situ და ex-situ კონსერვაციის ფორმებს შორის კავშირის გაძლიერება“ ფარგლებში, 2024 წელს, სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოს მასშტაბით 8 რეგიონში განახორციელა. 24 მუნიციპალიტეტის 96-მდე სოფელში არსებულ საკარმიდამო ნაკვეთებზე ექსპედიციების შედეგად

სიმინდის-158, ლობიოს-250, ხოლო ხორბლის - 14 ნიმუში იქნა მოძიებული.

შეიქმნა ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ადგილობრივი ჯიშების გენეტიკური ბანკი;

შექმნილია და შენარჩუნებულია ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების ex-situ და in-situ კოლექციები;

6 სანერგე მეურნეობის მდგომარეობის შემოწმების პროცესში, 5 სანერგე მეურნეობას მიეცა რეკომენდაცია დამატებით მასალების მოწოდების შესახებ, ხოლო 1 სანერგე მეურნეობას მიეცა დადებითი შეფასება;

მდგომარეობის შესწავლის მიზნით, 8 სანერგე მეურნეობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებზე გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

- გაიცა სარგავი მასალის - 21 და ხორბლის სათესლე მასალის პარტიები - 58 სერტიფიკატი;
- სერტიფიცირებული ხორბლის სათესლე მასალამ შეადგინა - 1072,046 ტონა;
- სერტიფიცირებული სარგავი მასალის რაოდენობამ შეადგინა - 197744 ცალი;
- სერტიფიცირებული სათესლე ტომრების რაოდენობამ შეადგინა - 35050 ცალი;
- რეესტრს დაემატა 1 თესლისა და 7 სარგავი მასალის მწარმოებელი;
- გენბანკს დაემატა ლობიოს ერთი ნიმუში, ჯიში „ჯონჯოლა“;
- ჩატარდა 7 სანერგე მეურნეობის ინსპექტირება;
- მიმდინარე პერიოდში კატალოგს დაემატა ხორბლის 2 სელექციური ჯიში;
- ჩატარდა 5 სათესლე მეურნეობის ნაკვეთების ინსპექტირება.

■ **საქართველოს მიწის ფონდის შესწავლის და ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება:**

საქართველოს მასშტაბით 2024 წელს:

- გამოკვლეულია ნიადაგები 25 ათასი ჰა ს/ს დანიშნულების ფართობი ახალციხის,

ასპინძის, ახალქალაქის, ადიგენის, ნინოწმინდის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში;

გამოკვლეული ფართობებისთვის შედგენილია ნიადაგის ძირითადი მახასიათებლების ამსახველი 5 ციფრული რუკა და შემუშავდა 200-ზე მეტი რეკომენდაცია საშემოდგომო მარცვლოვნების და ვაზის კულტურის ქვეშ ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების შესახებ;

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე და სასათბურე პირობებში მიმდინარე ცდების ფარგლებში აღებული და გამოკვლეულია ნიადაგის და მცენარის 165 ნიმუში;

მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა 20-მდე რეკომენდაცია;

საველე და ლაბორატორიული კვლევის მონაცემების საფუძველზე განახლდა ნიადაგის ელექტრონული მონაცემთა ბაზა.

■ **მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის სისტემების კვლევა:**

შემუშავდა მცენარეთა მავნებლების, დაავადებების და სარველების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული სისტემები;

სოფლის განვითარების სააგენტოს, რეგიონებში გასავრცელებლად, ფერმერებისთვის გადაეცა რედაქტირებული 20 სასოფლო-სამეურნეო კულტურის მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ფენოკალენდარული სქემა; გამოიცა ბროშურა: „ვაზის მავნებელ-დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები“.

■ **ტყის იშვიათი სახეობების გენეტიკური რესურსების შესწავლა, აგროსატყეო კულტურების კვლევა და ბიოლანდშაფტების მოწყობა:**

საქართველოს ტყის იშვიათი და რელიქტური სახეობების შესწავლის მიზნით, ჩატარდა ჰართვისის მუხის, ძელქვის და ლაფნის ერთი ლოკაციის აღწერა და ინვენტარიზაცია; განხორციელდა მონაცემების ეტაპობრივი შეყვანა GIS პროგრამაში;

კოლხეთის ეროვნულ პარკსა და ბახმაროს დაცულ ტერიტორიებზე, ექსპედიციების შედეგად დაფიქსირდა ჰართვისის მუხის საინტერესო ლოკაციები.

■ **საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მფარეობის ადგილობრივი ჯიშების და კოკულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და**

გენეტიკური ბანკის შექმნა:

გაერთიანებული ერების გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტის „მეცხოველების ფერმის მართვის სისტემის (FMS) ფუნქციონირებისათვის საჭირო სერვისები“ ფარგლებში, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცხოველებისა და საკვებწარმოების სამსახურის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით მიმდინარეობს „სანაშენე მეცხოველების შესახებ“ საქართველოს კანონზე მუშაობა.

ამავე პროექტის ფარგლებში მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე, აშშ-ს, ესტონეთის, შვეიცარიის გამოცდილებაზე მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავდა საქართველოს მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის საორიენტაციო მოდელი;

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროექტის „მეცხოველების ფერმის მართვის სისტემის (FMS) ფუნქციონირებისათვის საჭირო სერვისები“ ფარგლებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში შერჩეულ ფერმარში დაიწყო საპილოტე პროგრამა;

შპს „დმანისის მეცხოველეობის“ ფერმაში სულ შეფასდა: სალერსის ჯიშის 152 სული პირუტყვი, ფური, კურო-მწარმოებელი, უშობელი და დეკუელი; ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე მეურნეობას მიენიჭა სანაშენე სტატუსი და გაიცა სერტიფიკატი;

ვეტერინარიული კვლევების ფარგლებში, ჩატარდა 48 ნიმუშის ბიომოლეკულური კვლევა, სულ გამოკვლეულია 400-მდე მსხილფეხა რქოსანი პირუტყვი.

სურსათის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, გაანალიზებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში ბრუცელოზის გამოვლენის შემთხვევები;

შემუშავდა პირუტყვის რეგიონალური გავრცელებისა და ბრუცელოზით ავადობის მონაცემთა ბაზები;

■ **აგრორულ სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა და სფეროში დასაქმებულთა ცოდნის ამაღლება და კონსულტაცია:**

საქართველოს მასშტაბით კონსულტაცია გაეწია - 8000-მდე ფერმერსა და დაინტერესებულ პირს;

სხვადასხვა სახელმწიფო პროექტების, „დანერგე მომავალი“ და სხვ. ფარგლებში ცენტრის მიერ გაცემულია 6000-მდე დასკვნა-რეკომენდაცია;



სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა:

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“, რომელშიც მონაწილეობა 6 ქვეყნის 80-მდე მეცნიერმა მიიღო.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, რომელშიც მსოფლიოს 14 ქვეყნის 150-მდე მეცნიერმა და

მკვლევარმა მიიღო მონაწილეობა; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარდა:

- 450-მდე თემატური ტრენინგი და ლექცია-სემინარი;
- დამუშავებულია 45-მდე თემატური ბროშურა;

გამოქვეყნებულია და გამოცემულია:

- 65 სახელმძღვანელო (წიგნი);

- 305-ზე მეტი სტატია;
- 150-მდე კონფერენციის თეზისი;
- გამოცემულია 72-ზე მეტი რეკომენდაცია;

კვლევითი ცენტრისთვის პრიორიტეტულია რეგიონებში აგრარული მიმართულების ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობა.

2024 წელს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

გააფორმა კიდევ 4 უნივერსიტეტთან. მემორანდუმის ფარგლებში, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურის სტუდენტებს ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ბაზებსა და ლაბორატორიებში, აკადემიურ პერსონალთან ერთად, კვლევების დაგეგმვა-განხორციელების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების შესაძლებლობა ექნებათ, რაც რეგიონში მეტი ახალგაზრდა კვალიფიციური კადრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.



მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო



სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკას. მისი ძირითადი საქმიანობაა: მიწის რესურსების ინტეგრირებული მონაცემების ერთიანი ბაზის შექმნა, მიწის ბალანსის წარმოება, მიწის მდგრადი მართვა და მიწათსარგებლობის სახელმწიფო მონიტორინგი.

მიწის პოლიტიკის განსაზღვრის, მისი რაციონალური გამოყენებისა და მიწის ბაზრის განვითარების საფუძველს მიწის რესურსების მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი და განახლებადი ინფორმაციის წარმოება წარმოადგენს.

2004 წლამდე ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო ახორციელებდა მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მონიტორინგს, მიწის ფონდში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მატება-კლების დინამიკის კონტროლს და აწარმოებდა მიწათსარგებლობის დაგეგმარებას. 2004 წელს განხორციელებული ინსტიტუციური რეფორმის შედეგად გაუქმდა ყველა ის სახელმწიფო უწყება, რომელიც ჩართული იყო და მონაწილეობდა ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მობილიზება/მართვაში.

მიმდინარე სამუშაოების შედეგად, ქვეყნის ტერიტორია (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა), სრულად დაიფარა 1:2000-ანი მასშტაბის ადაპტირებადი დიგიტალური ფენებით, რაც შესაძლებელს გახდის შეიქმნას მიწათსარგებლობის თემატური რუკები და მიწის საინფორმაციო სისტემა და ასევე, საჭიროების მიხედვით, პერიოდულად გამოქვეყნდეს მიწის ბალანსი.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების სახელმწიფო პროგრამა

საძოვრების რაციონალური გამოყენება,

დეგრადაციის პრევენცია და მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამის მიზანს, რომელსაც სააგენტო 2021 წლიდან ახორციელებს.

2021-2024 წლებში 12 ეტაპად ჩატარდა განაცხადების მიღება. პროგრამაში ჩართვის მსურველი ფერმერებისთვის მთავარი მოთხოვნა მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ფლობაა, საძოვრის იჯარით განკარგვის უფლება კი მხოლოდ ზღვრული დატვირთვის ნორმის მიხედვით არის შესაძლებელი, რაც ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის შეადგენს არანაკლებ 1-ს და არაუმეტეს 1.5-ჰექტარს, ხოლო ერთ სულ წვრილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის - არანაკლებ 0.2-ს და არაუმეტეს 0.5 ჰა საძოვარს.

2024 წლის განმავლობაში იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 89 მიწის ნაკვეთზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 9395 ჰექტარს. პირდაპირი წესით იჯარით გაიცა 72 მიწის ნაკვეთი, ფართობით 6 516 ჰა, ხოლო აუქციონის წესით 17 მიწის ნაკვეთი, ფართობით 2 879 ჰა. აუქციონის გზით იჯარით გაცემულ საძოვრებზე ჯამურმა წლიურმა საიჯარო თანხამ შეადგინა 402 103 ლარი (საშუალოდ ჰექტარზე - 140 ლარი), ხოლო პირდაპირი გზით გაცემულ საძოვრებზე - ჯამურად 79 625 ლარი.

2024 წელს იდენტიფიცირდა პროგრამის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი 204 საძოვრის კატეგორიის ახალი მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 13 326 ჰექტარი, საიდანაც შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან მიღებული იქნა თანხმობა 57 ნაკვეთის იჯარით გაცემაზე, ფართობით 4 648 ჰექტარი.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში 16 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს მიენიჭა საძოვრის კატეგორია, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 2 680 ჰექტარს.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის 2021-2024 წლების მაჩვენებლების მიხედვით, ჯამში იჯარით გაცემულია 215 საძოვარი - 21329 ჰა, აქედან 155 საძოვარი, 12948 ჰა - პირდაპირი გადაცემის გზით, ხოლო 60 საძოვარი, 8381 ჰა - აუქციონით გზით.

2025 წელს დაგეგმილია 5,000 ჰექტრამდე ფართობის საძოვრის იჯარით გაცემა.

ქარსაფარი ზოლების (მინდორდაცვითი) ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამა

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური პროცესებისა და ნიადაგის ქარისმიერი ეროზიის შესამცირებლად სახელმწიფომ ქარსაფარი ზოლების დაცვა პრიორიტეტად გამოაცხადა და ქვეყანაში კანონი აამოქმედა. კანონი პირველ ნაბიჯად ითვალისწინებს ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ქარსაფარის სტატუსით რეგისტრაციას. ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე შემდგომ ეტაპზე მოხდება მათი აღდგენა-გაშენება და მოვლის ღონისძიებების განხორციელება.

კამერალურად დამუშავებული საარქივო მასალების მიხედვით, ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით, ქარსაფარი ზოლებით დაფარულმა საჯარო ფართობმა შეადგინა 19649 ჰექტარი, ხოლო სამიზნე მაჩვენებლად განისაზღვრა 18326,11 ჰექტარი.

პროგრამა 2021 წელს დაიწყო და 2024 წლის ჩათვლით, 12 მუნიციპალიტეტში, ჯამში, ინვენტარიზებულია 6675.22 ჰექტარი. აქედან ქარსაფარის სტატუსი მიანიჭებული აქვს და

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია 3556.6 ჰექტარი ქარსაფარი ზოლი.

2024 წელს ინვენტარიზაცია დასრულდა 2684.57 ჰექტარ ფართობზე: გარდაბნის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში. ინვენტარიზებულ ქარსაფარ ზოლებს უკვე მიენიჭა ქარსაფარი ზოლის სტატუსი და მიმდინარეობს მათი საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენის პროცესი.

2024 წლის განმავლობაში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, უძრავი ნივთების უფლებათა რეესტრში აღრიცხულია 4373 ერთეული ქარსაფარი ზოლის სტატუსით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, საერთო ფართობით ფართობით 1850.07 ჰა (მუნიციპალიტეტები: დედოფლისწყარო, დუშეთი, კასპი, ქარელის და თეთრიწყარო).

2025 წლისთვის თიანეთის, მცხეთის, გორისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია 3056.52 ჰექტარ ფართობზეა დაგეგმილი.

მიწათსარგებლობის მონიტორინგი

მიწათსარგებლობის მონიტორინგი სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში სააგენტო ახორციელებს მიწის ნაკვეთების სავსელ დათვალიერებას.

2024 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა იჯარით გაცემული საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთებით სარგებლობასთან დაკავშირებით, საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისი წესით მონიტორინგი, ადგილზე დათვალიერება და შესაბამისი აქტების მომზადება. პროგრამის ფარგლებში, ხობის, დედოფლისწყაროს, დმანისის, ნინოწმინდის, საგარეჯოსა



და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა საძოვრის მოიჯარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი. ამ მიზნით სავსე მონიტორინგი განხორციელდა 124 ნაკვეთზე, ფართობით -11129.08 ჰექტარი.

საანგარიშო პერიოდში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პირდაპირი წესით პრივატიზაციის განხორციელების მიზნით, მონიტორინგი განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის 34 ნაკვეთზე, რომლის ფართობი შეადგენს 147.11 ჰექტარს. პროგრამის განმახორციელებელია ქონების ეროვნული სააგენტო.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილებასთან დაკავშირებით მონიტორინგი განხორციელდა 83 მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობი შეადგენს 51.86 ჰექტარს.

ამავე პერიოდში სააგენტომ განახორციელა კონტრაქტორი კომპანიის მიერ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის

პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების ინსპექტირება გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, ბოლნისის და წალკის მუნიციპალიტეტებში, ჯამში, 1372 ნაკვეთზე საერთო ფართობით - 584.41 ჰექტარი. 2021-24 წლების პერიოდში პროგრამის ფარგლებში დათვალიერებულია 2336 პა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

2023-24 წლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დათვალიერდა 171 საძოვრის კატეგორიის

მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 17510.51 ჰექტარი.

2021-24 წლებში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსებზე ხელმისაწვდომობის პროგრამის“ ფარგლებში დათვალიერდა 294 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 2262.65 ჰექტარი.

2021-24 წლებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების ფარგლებში სულ დათვალიერდა 239 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 136,96 ჰექტარი.



საქართველოს მელიორაცია GEORGIAN AMELIORATION

ag.ge

საქართველოს მელიორაცია



გამართული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას, იგი უხვი და ხარისხიანი მოსავლის წინაპირობაა.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ინტენსიურად ახორციელებს სარწყავი და სადრენაჟე სისტემების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოებს, შედეგად, დღეისათვის 210 ათასი ჰექტარი ფართობია მელიორირებული.

უკანასკნელ წლებში განხორციელებული პროექტების და გატარებული ღონისძიებების შედეგად, აღმოსავლეთ საქართველოში წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების რაოდენობა თითქმის გაოთხმაგდა და დაახლოებით 165 000 ჰექტარია. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, დაახლოებით სამჯერ გაიზარდა დრენირებული ფართობების რიცხვიც და მისი რაოდენობაა 45 000 ჰექტარი.

2024 წელს დასრულდა 35,9 მლნ ლარის ღირებულების 46 სარეაბილიტაციო კაპიტალური პროექტი.

■ ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებები:

გაიწმინდა 1777 კმ სიგრძის სამელიორაციო არხი; შეკეთდა ან შეიცვალა 54 კმ სიგრძის მილსადენი და 5.9 კმ დარული ქსელი; შეკეთდა 122 ერთეული მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა, გარემონტდა/შეიცვალა 2623 სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობა. განხორციელდა სატუმბი სადგურების, წყალსაცავებისა და კაშხლური ტიპის სათავე ნაგებობების პასპორტიზაცია და ძველი ინფორმაციის ერთიან სისტემაში მოყვანა.

■ წყალსაცავები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცვალებად ბუნებრივ კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულების მინიმუმად დაყვანისა და მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქციის წარმოების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მელიორაცია დიდ ყურადღებას უთმობს წყალსაცავების რეაბილიტაცია-მშენებლობის საკითხს.

2024 წელს განხორციელდა იაყუბლოსა და ლაკებს წყალსაცავების რეაბილიტაცია.

■ სემეკის რეგულირება

ახალი რეგულირების ფარგლებში შემუშავდა „საირიგაციო წყლის მიწოდების წესები“; დამტკიცდა ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგია.

■ წყლის გაზოგვა / აღრიცხვის კვანძების მოწყობა

ორ სარწყავ სისტემაზე დამონტაჟდა უკონტაქტო რადარული ხარჯმომი. მიმდინარე წელს იგეგმება მსგავსი ტიპის 15-მდე ხარჯმომი მოწყობილობის შესყიდვა; მოეწყო ჰიდრომეტრიული საგუშაგოები და განხორციელდა ტარირება 34-მდე სხვადასხვა არხზე, რაც საშუალებას იძლევა წყალი აღრიცხოს მექანიკური საშუალებით. მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები 67-მდე ლოკაციაზე.

სემეკის რეგულაციის ფარგლებში დაწყებულია არაპროფილურ მომხმარებელთა გამრიცხველიანება, რომელიც უნდა დასრულდეს 2025 წლის ივნისის ბოლოს.

■ სამელიორაციო დანიშნულების არხების და გათვან ჩამოკიდებული ფართობების ინვენტარიზაცია

კომპანიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს არხებზე წყლის მიწოდების წერტილების განსაზღვრას და აღნიშნულ მიწოდების წერტილებზე ჩამოკიდებული სარწყავი ფართობების ინვენტარიზაციას.

სისტემებში წყლის გეგმიური განაწილება და ხარჯვის ლიმიტები

- შემუშავებული იქნა საირიგაციო წყლის მიწოდების ნორმები ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისთვის;

- დამტკიცდა რწყვათა ჯერადობა კულტურების და რეგიონების მიხედვით;
- შემუშავდა ტბორისთვის მისაწოდებელი წყლის ნორმა, მისი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში, ტბორის შევსების, აორთქლების და ფილტრაციის კოეფიციენტების გათვალისწინებით;
- შემუშავდა წყლის მიწოდების რეჟიმები, ცალ-ცალკე ირიგაციისთვის, ჰიდროელექტროსადგურებისთვის და ტბორებისთვის.

სემეკის მიერ ტარიფის დადგენამდე აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

- რამდენიმე მსხვილ ჰიდროელექტროსადგურთან განხორციელდა სატარიფო პოლიტიკის გადახედვა, რაც უკვე საგრძნობლად აისახა ჰესებიდან მიღებულ სამშომსავლო ნაწილზე.
- შემუშავდა ტექნიკური წყლის საფასურები. წყლის მიწოდების მომსახურების საფასურის მიხედვით განხორციელდა მოხმარებული წყლის მოცულობებზე.

■ წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (ფმო-ების) ჩამოყალიბება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მსოფლიო ბანკის პროექტის შეჯერებული კონცეფციის საფუძველზე, შიდა სამეურნეო სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მართვის გაუმჯობესების, ფერმერისათვის საჭირო დროს, საჭირო რაოდენობის წყლის სტაბილური მიწოდების და სამართლიანი წყალგანაწილების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სხვადასხვა საირიგაციო სისტემებზე დაგეგმილია წყალმომხმარებელთა ორგანიზების შექმნა.

ზემო აღნიშნულის შესაბამისად, „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის

თანახმად, 2024 წლის დეკემბერში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის გ.16 - გ.31 გამანაწილებლების არეალში, დაფუძნდა პირველი საპილოტე წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია - საგარეჯო 1.

საპილოტე წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის დასაფუძნებლად და მისი მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, 2024 წელს განხორციელდა: შეხვედრები მუნიციპალიტეტისა და სოფლების წარმომადგენლებთან, კარდაკარ ვიზიტები წყალმომხმარებელთა წარმომადგენელთა შერჩევები, საინიციატივო ჯგუფის ფორმირება, ცნობიერების ამაღლების სათანადო ტრენინგები, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სავსე გასვლების ფორმატში და სხვა.

2026 წელს, წყლის მიწოდების ტარიფის დადგენამდე, მსოფლიო ბანკის პროექტის მოთხოვნის შესაბამისად, მიმდინარე წელს, მსოფლიო ბანკის GRAIL-ის პროექტში შემავალ 4 საირიგაციო სისტემაზე, იგეგმება საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება, წყალმომხმარებელთა მობილიზაცია და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.

პროექტის ფარგლებში, ასევე განსაზღვრულია ადგილობრივი ფერმერების მონაწილეობის უზრუნველყოფა ინფრასტრუქტურის პროექტირებასა და განვითარებაში, რომელიც მიზნად ისახავს საირიგაციო მომსახურების გაუმჯობესებას, წყალმომხმარებელთა ინტერესებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებას, მომავალში, პოტენციური წმომების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

■ დონორი ორგანიზაციები და დაგეგმილი ღონისძიებები

საქართველოს მელიორაცია თანამშრომლობს ევროპის საინვესტიციო ბანკთან(EIB); აზიის განვითარების ბანკთან (ADB); მსოფლიო ბანკთან (WB), საფრანგეთის განვითარების



სააგენტოსთან (AFD).

ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) -ზემო სამგორის საირიგაციო ქსელის რეაბილიტაცია- მოდერნიზაციის პროექტს აფინანსებს. ორი დონორი ორგანიზაცია: ევროპის საინვესტიციო ბანკი და საფრანგეთის განვითარების სააგენტო. პროექტის განსახორციელებლად დაიხარჯება 100.3 მლნ. ევრო, სადაც საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა შეადგენს 15.3 მლნ ევროს. პროექტის განხორციელების პერიოდი 2023-

2029 წწ. პროექტის განხორციელების შემდეგ წყალუბრუნველყოფილი სარწყავი ფართობი გაიზრდება 19,130 ჰა-მდე.

აზიის განვითარების ბანკი (ADB) - კლიმატკონივრული სექტორის დარგის განვითარების პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკი ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის და შიდა სამეურნეო ქსელების რეაბილიტაციის და მოდერნიზაციის პროექტს დააფინანსებს. პროექტის დაახლოებითი ღირებულება

ევროკავშირის გრანტის ჩათვლით 79,252,378 ევრო, სადაც საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა შეადგენს 27,017,378 ევროს. პროექტის განხორციელების პერიოდი 2024-2030 წწ. შედეგად წყალუბრუნველყოფილი ფართობები გაიზრდება 7316 ჰა-მდე.

მსოფლიო ბანკი (WB)- „საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის“ (GRAIL) ფარგლებში მსოფლიო ბანკი გეგმავს 5 საირიგაციო (ტაშისკარის, ტირიფონის, ზედა არხის,

ზემო ალაზნის, მჭადიჯვრის ს/სისტემები, ნარეკვავის წყალსაცავის წმენდა) სისტემის მოდერნიზაციას და ერთი სადრენაჟე (შავლელეს დამშრობი მასივის) რეაბილიტაციასა და მოდერნიზაციას. სარწყავი და სადრენაჟე სისტემების საერთო მომსახურების ფართობია 26887 ჰა. პროექტის სრული ბიუჯეტია 150 მლნ აშშ დოლარი, სადაც საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა შეადგენს 75 მლნ აშშ დოლარს. GRAIL-ის პროექტის განხორციელების პერიოდი - 2024-2029 წწ.

გარემოს ეროვნული სააგენტო



nea.gov.ge



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი უწყება - გარემოს ეროვნული სააგენტო 2024 წლის განმავლობაში აქტიურად ახორციელებდა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის კვლევებს, ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების მონიტორინგს, ამინდსა და კლიმატურ პირობებზე დაკვირვებას, ასევე, შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების კვლევას. გარდა ამისა, სააგენტო უზრუნველყოფდა სტრატეგიული გარემოსდაცვითი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების განხორციელებას, ასევე, გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დაგეგმვას.

გეოლოგიური ანგარიშით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სამიზნე არეალის ფარგლებში არსებული გეოლოგიური პირობების შესახებ. აღნიშნული გეოლოგიური ანგარიში წარმოადგენს საფუძველს გეოლოგიის ყველა მიმართულებისთვის, მათ შორის, სტიქიური გეოლოგიური პროცესების, მიწისქვეშა წყლების, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ტიპის გეოლოგიური კვლევებისთვის და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში არსებული გეოლოგიური პრობლემების მართვის თვალსაზრისით.

მეფრინველობის ფერმის, ცემენტის და კირის, BAT-ის შესაბამისობის შეფასება, ხოლო პროექტის „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) ფარგლებში, 2024 წელს მომზადდა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელო საქართველოს სივრცის დაგეგმარების სექტორისთვის. სახელმძღვანელოს მიზნებია საქართველოს სივრცის დაგეგმარების სექტორში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურის ეფექტიანი განხორციელება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად; მდგრადი სივრცითი განვითარების ხელშეწყობა, გარემოს დაცვის პრინციპების და მიდგომების ადრეული და ეფექტური ინტეგრაციის უზრუნველყოფა სივრცით სტრატეგიულ დოკუმენტებში.

2024 წელს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის თანამშრომლობის პროგრამის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, ახალციხეში, თელავსა და დაბა მესტიაში 6 ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგური გახსნა. ამ დროისათვის ქვეყნის მასშტაბით უკვე ფუნქციონირებს 18 ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგური, მათ შორის, 15 ავტომატური და 3 მობილური.

საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო და საპროგრამო (ICT) სისტემასთან, რომლის დანერგვაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2024 წელს შვეიცარიულ კომპანიასთან „GEOTEST AG“ ხელშეკრულება გააფორმა, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის მასშტაბით 22 მყინვარული ხეობა (მყინვარიდან მომდინარე საფრთხეები) შეფასდა.

2024 წლის განმავლობაში გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ შეფასდა საცხოვრებელი სახლების, საკარმიდამო მიწის ნაკვეთების და მიმდებარე ტერიტორიების გეოდინამიკური მდგომარეობა, საშიშროების რისკის განსაზღვრით და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე შედგენილ იქნა 1622 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სადაც შეფასებულია 2385 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 4266 მოსახლის (კომლი), საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა და გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით, განსაზღვრულია საშიშროების რისკი და შესაბამისი რეკომენდაციები.

ასევე, 2023-2024 წლებში გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ იმერეთის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის და გურიის მხარეებში გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოები განხორციელდა, რის საფუძველზეც მომზადდა 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო გეოლოგიური რუკები, ასევე, მინერალური რესურსებისა და ტექტონიკური რუკების კომპლექტი, შესაბამისი

2024 წელს, გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა საინფორმაციო ბიულეტენები გარემოს დაბინძურების, გეოლოგიური პროცესების, მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ.

2024 წელს, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და კონტინენტური შელფის გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით განხორციელდა სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი, რის საფუძველზეც განისაზღვრა წყლის მიკრობიოლოგიური და ჰიდრობიოლოგიური პარამეტრები. ასევე, ციხისძირის, სარფის, მწვანე კონცხის სადგურებზე განხორციელდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს კლდოვანი ჰაბიტატების შესწავლა. მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდება 2024 წლის შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიომრავალფეროვნების ანგარიში. ასევე, 2024-2025 წწ სარეწაო სეზონისთვის შავ ზღვაში ჭერილის დასაშვები ოდენობა განისაზღვრა შვიდ სარეწაო ობიექტზე, მათ შორის, ძირითადი სარეწაო რესურსის - შავი ზღვის ქაფშიას მოსაპოვებელ კვლამ შეადგინა 65000 ტონა.

ქალაქ ბათუმში გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი რეგიონული ოფისი გაიხსნა. შენობაში განთავსდა გარემოს ეროვნული სააგენტოს ისეთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ერთეულები, როგორებიცაა მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ბათუმის ლაბორატორია და აჭარის რეგიონული ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორია. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის, მიკრობიოლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, იქთიოლოგიური ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია ულტრათანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით და კვლევითი სფეროს სპეციფიკისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „საქართველოში გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა აგროინდუსტრიული ხუთი სექტორის ოთხ ობიექტში - წვის დიდი საწარმოს, ნარჩენების ინსინერაცია/თანანისინერაციის,

2024 წელს, ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ჰელსინკიში, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და ფინეთის მეტეოროლოგიურ ინსტიტუტს შორის მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და გარემოს სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში დაინერგება ახალი თანამედროვე სისტემა ამინდის პროგნოზირებისთვის, რაც გაზრდის როგორც შედეგების სიზუსტეს, ასევე, ხელს შეუწყობს ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარებას.

2024 წელს გაიმართა ფოთის აეროლოგიური სადგური, რომელიც ატმოსფეროს ზედა ფენებში მეტეოროლოგიურ პარამეტრებს ზომავს. აღნიშნული სადგური ინტეგრირებულია სააგენტოში არსებულ დაკვირვების სისტემებთან და თანამედროვე



apa.gov.ge

დაცული ტერიტორიების სააგენტო



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის, დაცული ტერიტორიების შექმნა/დაარსება, ბიომრავალფეროვნების დაცვა და ეკოტურიზმის განვითარება მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, დაცული ტერიტორიების სისტემა საქართველოში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება.

■ დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება

2024 წელს, 15 310 ჰა-ზე შეიქმნა კიდევ ერთი დაცული ტერიტორია - გურიის ეროვნული პარკი; მომზადდა რაჭის დაცული ტერიტორიების გაფართოების კანონპროექტი. აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა და შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების დაარსებასთან დაკავშირებით.

2024 წლის მდგომარეობით, დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 927 751 ჰექტარს, რაც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 13,3%-ია.

საქართველოში, IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით, 6 სხვადასხვა კატეგორიის 100 დაცული ტერიტორიაა, კერძოდ: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 15 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 25 ალკვეთილი, 5 დაცული ლანდშაფტი და ერთი მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

■ საკონსერვაციო პროექტები და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი

2024 წლის განმავლობაში, საქართველოს დაცული ტერიტორიებზე უწყვეტად მიმდინარეობდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით. 10-წლიანი (2020-2029 წწ.) გეგმის შესაბამისად, შერჩეულ საკანონო სახეობებზე გრძელდება მაღალი სამეცნიერო ღირებულების კვლევა-მონიტორინგი.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, დაცული ტერიტორიების სააგენტომ, საქართველოსთან ერთად, დაიწყო ახალი უპრეცედენტო პროექტი, რომელიც თბილისის ეროვნულ პარკში ირმის პოპულაციის აღდგენას ითვალისწინებს. ირმის პოპულაციის აღდგენის პროექტი ალგეთის ეროვნულ პარკშიც დაიწყო, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, ველური ბუნების სააგენტოსთან ერთად.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე წარმატებით მიმდინარეობს ქურციკების პოპულაციის აღდგენის პროექტი. 2024 წელს ქურციკების რაოდენობამ 450 ინდივიდს გადააჭარბა.

აჯამეთის ალკვეთილის ტერიტორიაზე მიმდინარეობს „იმერული მუხის“ გაშენების პროექტი, 6 ჰექტარ ფართობზე;

9 დაცულ ტერიტორიაზე მოხდა მდინარეების დათევზიანება, ჯამში, დაახლოებით, 400 000 ნაკადულის კალმახის ქვირითით.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს 24-ვე ტერიტორიულ ადმინისტრაციაში ხორციელდება პატრულირება რეინჯერების მიერ; SMART პატრულირებისა

და მონიტორინგის თანამედროვე მეთოდით პატრულირება და მონიტორინგი დაინერგა 11 დაცულ ტერიტორიაზე; დაცულ ტერიტორიებზე გამოვლინდა 223 სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის, 222 ადმინისტრაციული, 1 - სისხლის სამართლის.

ხანძრებთან ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, 2024 წელს, ყველა ადმინისტრაცია დამატებით აღჭურვა შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით.

■ დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარება

ეკოტურიზმი ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების მიმდებარე მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მიღებაში.

2024 წელს დასრულდა, ჯამში, დაახლოებით 680 კმ სიგრძის ეკოტურისტული ბილიკების ქსელისა და თანმდევი ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია; 6 დაცულ ტერიტორიაზე რეაბილიტაცია ჩატარდა ტურისტულ ინფრასტრუქტურას (ვიზიტორთა ცენტრი, ადმინისტრაციული შენობა, ხიდები, ნავმისადგომი და სხვ.); აშენდა 23 ახალი ტურისტული თავშესაფარი, თანმდევი ინფრასტრუქტურით.

თბილისის ეროვნულ პარკში დაიწყო უმნიშვნელოვანესი რეკრეაციული პროექტი, რომელიც გულისხმობს ვიზიტორთა ცენტრის და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას, რომელიც მანამდე არ არსებობდა და რომელიც მეტად შეუწყობს ხელს ეროვნულ პარკში ვიზიტორების ზრდას და მათ უსაფრთხო და კომფორტულ მოგზაურობას. მუშაობა დაიწყო კიდევ 6 ვიზიტორთა ცენტრის

პროექტირება-მშენებლობაზე;

დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვიზიტორთა რაოდენობის ზრდას - 2024 წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 1 104 428 ვიზიტორი ესტუმრა.

■ საერთაშორისო ურთიერთობები

აღსანიშნავია საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომელთა მეშვეობით, დღეისათვის დაცული ტერიტორიების სააგენტოს საგრანტო პროექტების ღირებულება, უპრეცედენტო, ას მილიონ ლარზე მეტს აღწევს და ჯამში 20 პროექტს მოიცავს. ძირითადი პარტნიორები: KfW, CNF, შვედეთის მთავრობა, bp.

გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით, 4 დაცულ ტერიტორიაზე ადგილობრივი თემებისთვის სოციალურ-ეკონომიკური (FPA) კომპონენტი განხორციელდა. გაიცა დაახლოებით 150 000 ლარის ოდენობის გრანტი.

შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტ „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში, განხორციელდა სააგენტოს სტრატეგიული დოკუმენტაციების შემუშავება, სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება, აღჭურვილობის შესყიდვა და სხვა.

დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტომ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში: საუდის არაბეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი; ასევე, სააგენტომ ორგანიზება გაუწია ჩინეთის ტურისტული და მედია კომპანიების სამუშაო ვიზიტს დაცულ ტერიტორიებზე.



wla.gov.ge

ველური ბუნების ეროვნული სააგენტო



2024 წელს ველური ბუნების ეროვნული სააგენტო აქტიურად მუშაობდა კანონპროექტის სრულყოფაზე „ნადირობისა და სანადირო სახეობათა მართვის შესახებ“, რაც ხელს შეუწყობს ბრაკონიერობის შემცირებასა და ევროპულ გამოცდილებაზე

დაფუძნებულ მონადირეთა სერტიფიცირების სისტემის შექმნას

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის სამეფოს მთავრობის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) პროექტის

„გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში, „ნადირობის შესახებ“.

საქართველოს კანონის პროექტის სამუშაო ვერსიის სრულყოფაზე ველური ბუნების სააგენტო მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა. კანონპროექტი

წარდგენილი იქნა როგორც გარემოსდაცვითი მიმართულების არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, სამონადირეო კლუბებისა და მეურნეობების წარმომადგენლებთან.



ნადირობის შესახებ ახალი კანონი ხელს შეუწყობს ნადირობის მდგრადი სისტემის დანერგვას. კანონპროექტის მიზანია ნადირობის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფასეულობების თანაბრად გათვალისწინება და სანადირო სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს (ჰაბიტატი) მდგრადი მართვა, სახეობათა პოპულაციების კონტროლი, ასევე, მონადირეთა სერტიფიცირება, რის შედეგადაც შეიზღუდება ბრაკონიერობა.

ახალი რეგულაციით, სერტიფიცირებულ მონადირეს ექნება მონადირეთა საერთაშორისო ორგანიზაციის (CIC) მიერ აღიარებული ნადირობის სერტიფიკატი. ახალი კანონით საქართველოში დაიწყება ველური ბუნების მდგრადი მართვის სფეროში საუკეთესო ევროპული გამოცდილების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს როგორც

სანადირო სახეობების პოპულაციების აღდგენას, ასევე ბრაკონიერობის შემცირებას; მოხდება ადგილობრივი სახეობების აღწარმოება, სანადირო მეურნეობების წინასწარი დაპროექტება, საზოგადოებრივი სავარგულების დადგენა და ადგილობრივ სახეობებზე ნადირობის დაშვება ინდივიდუალური ლიცენზიით.

ველური ბუნების სააგენტოს ინიციატივითა და შედეგით მთავრობის დაფინანსებით, პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში, ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე საქართველოს წითელი ნუსხის სახეობის, კეთილშობილი ირმის საშენის მოწყობისთვის 2023 წელს მომზადდა პროექტი, რის საფუძველზეც 2024 წელს ალგეთის ეროვნული პარკში ევრაზიის კონტინენტზე არსებული კეთილშობილი ირმის სახეობების საშენი

და ადმინისტრაციული კოტეჯი მოეწყო. ტერიტორია შეიღობა.

გადაშენება ემუქრება მხოლოდ კავკასიურ ქვესახეობას, რაც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარე ბრაკონიერობის შედეგია. სწორედ ამიტომ, ალგეთის ეროვნული პარკის ვრცელ ტერიტორიაზე (8000ჰა) კეთილშობილი ირმის ველური პოპულაციის შექმნება, რის შედეგადაც იგი გეოგრაფიულად დაუახლოვდება სხვა არსებულ პოპულაციებს

2016 წლიდან ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ახორციელებს პროექტს, რომელიც საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობის, მდინარის კალმახის გამრავლებას ითვალისწინებს. ნაკადულის ანუ მდინარის კალმახი 2006 წელს „წითელ ნუსხაში“ მოხვდა. ველური ბუნების სააგენტო მუშაობს ნაკადულის კალმახის სხვადასხვა პოპულაციების გამრავლებაზე და შემდეგ

მდინარეთა დათევზიანებაზე. მდინარის კალმახის საშენში 160 კვ.მ. შენობა აშენდა, სადაც კალმახის ინკუბატორი და სალიფსიტე აუზები განთავსდა. აღნიშნული საინკუბატორო ნაგებობა სააგენტოს აძლევს საშუალებას გამოჩეკილი ლიფსიტების რაოდენობა იყოს წლიურად 500 000-ზე მეტი. 2024 წელს ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ წითელი ნუსხის სახეობის, მდინარის კალმახით 33 მდე მდინარე და ტბა 835 000 მდე ლიფსიტითა და ლავრით დაათევზიანა. გაშვებული თევზების მეთვალყურეობა ფოტო და ვიდეო ხაფანგებით ხდება. ასევე, ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ ადგილობრივი ველური სახეობის 5 000 ფრთაზე მეტი კოლხური ხობის, კაკის და ხონთქრის ქათმის გამრავლება განახორციელა, ბუნებაში გაშვებისა და სამონადირეო მეურნეობებისთვის მიწოდების მიზნით.



ეროვნული სატყეო სააგენტო

forestry.gov.ge



ეროვნული სატყეო სააგენტო ქვეყანაში ტყის მართვის ძირითადი ორგანოა. სააგენტოს ძირითად ფუნქციას ტყის მდგრადი მართვა, ტყის მოვლა-აღდგენა და ტყის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება წარმოადგენს. სააგენტო მართავს 1,922,722 ჰა სახელმწიფო ტყეს და რეგიონული სატყეო სამსახურების მეშვეობით, ქვეყნის 9 რეგიონში ოპერირებს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა). ეროვნული სატყეო სააგენტოს პრიორიტეტული მიმართულებებია ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების მომზადება ასევე, მრავალმიზნობრივი ტყის სარგებლობა და მერქანზე ხელმისაწვდომობის კანონიერი ზრდა, რაც მოსახლეობის შემთხვევითი მომარაგების ახალი მექანიზმის დანერგვას გულისხმობს.

■ ტყის აღდგენა
ტყის აღდგენის უზრუნველსაყოფად მომზადებული 40 პროექტის ფარგლებში ტყის აღდგენის ღონისძიებები განხორციელდა და მიმდინარეობს 2 120,6 ჰა ფართობზე 6 რეგიონში (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, გურია, შიდა ქართლი, კახეთი). ტყის აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება როგორც ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები, ასევე წინა წლებში აღდგენილი ფართობების მოვლა. დარგული იქნა 24 250 ნერგიც. 2013-2023 წლებში ტყის აღდგენის ღონისძიებები განხორციელდა 4000 ჰა-ზე მეტ ფართობზე, ხოლო 2030 წლისთვის სამუშაოები 20 000 ჰა ფართობზე განხორციელდება.

■ ტყის სანიტარიული მდგომარეობა
ტყის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების და მავნებელ-დაავადებების მართვის მიზნით, განხორციელდა მბუჭდავი ქერქიჭამიასთან ბრძოლის ღონისძიებები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სანიტარიული ჭრებისა და ფერომონიანი მწერმჭერების გამოყენებით. განთავსებულია 3000 ცალი ფერომონიანი მწერმჭერი, ხოლო სანიტარიული ჭრა განხორციელდა თითქმის 12 000 კმ ოდენობით. ამავდროულად,

სამომავლოდ ღონისძიებების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მიმდინარეობს მუშაობა სოფლის მეურნეობის კვლევით ცენტრთან ერთად მავნე მწერის ბუნებრივი მტრების გამოყვანა-გამოცდაზე. იმერეთის რეგიონში წაბლის ქერქის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გამოცდის ფარგლებში განხორციელდა სანიტარიული ჭრები 2450 კმ-ს ოდენობით.

შიდა ქართლის რეგიონში ფიჭვნარ კორომში იდენტიფიცირებული მავნე მწერის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელდა 7 ჰა ფართობის შეწამვლა-დამუშავება.

■ ტყის ხანძრებისაგან დაცვა და პრევენცია
ტყის ხანძრებისაგან დაცვისა და პრევენციის უზრუნველსაყოფად მომზადდა ტყის ხანძრების მართვის გეგმები ყველა სატყეო უბნისთვის, განახლებულ იქნა პირველადი რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია.

■ ტყის ინვენტარიზაცია
ტყის მართვის გეგმების მომზადების მიზნით ტყის ინვენტარიზაცია განხორციელდა 4 მუნიციპალიტეტში (ყვარელი, თელავი, ონი, ცაგერი) ჯამში 205 619 ჰა ფართობზე. დასამტკიცებლად მომზადდა ტყის მართვის

გეგმები ასევე 6 მუნიციპალიტეტისათვის (დედოფლისწყარო-სიღნაღი, ადიგენი, ამბროლაური, წალკა-თეთრიწყარო) ჯამში 188 500 ჰა ფართობისთვის.

2013-2024 წლებში ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები 866 030 ჰა ფართობზე განხორციელდა და განახლებულია მონაცემები სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ფართობის 50%-სთვის. ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად კვალიფიციური ახალგაზრდა კადრის მომზადებისთვის სააგენტომ შეიმუშავა სპეციალური სამთვანი პროგრამა. 2019-2024 წლებში გადამზადდა სატყეო განათლების მქონე 62 ახალგაზრდა, რომლებიც ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოებზე დასაქმდა.

■ სატყეო სამეურნეო გზები
მოსახლეობის და კერძო სექტორის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების, ასევე, ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციისა და სატყეო ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მოეწყო 6.4 კმ და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 111.7 კმ სატყეო სამეურნეო გზას.

■ „საქმიანი ეზოები“
მოსახლეობის და კერძო სექტორის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით აშენდა 6 საქმიანი ეზო 6 მუნიციპალიტეტში. ჯამში, დღეისათვის მოწყობილია 61 საქმიანი ეზო ქვეყნის მასშტაბით.

■ ტექნიკური უზრუნველყოფა
სააგენტოზე დაკისრებული მოვალეობებისა და სატყეო ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად,

შეძენილ იქნა 34 ერთეული სატვირთო და სპეციალური საშუალებები, ასევე შესაბამისი აღჭურვილობა როგორც ტყეში საქმიანობის, ასევე საქმიანი ეზოების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის. ტყის მონიტორინგისა და დაცვის გაუმჯობესების მიზნით შეძენილ იქნა თანამედროვე ტექნოლოგიები დრონებისა (9 ერთეული) და ფოტოხაფანგების (300 ერთეული) სახით.

■ ადამიანური რესურსები
სააგენტოზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ეფექტიანად შესრულებისა და მომსახურების გაწევის გაუმჯობესების მიზნით 2024 წელს შრომითი ხელშეკრულების კვოტამ 770 შეადგინა, რაც განაწილდა ქვეყნის მასშტაბით რეგიონულ სატყეო სამსახურებში. მათ შორის 105 ადამიანი დაკომპლექტდა 15 „საქმიანი ეზო“.

■ საერთაშორისო თანამშრომლობა
2024 წელს დასრულდა სლოვენის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფაზა II“. პროექტი 2023-2024 წლებში მიმდინარეობდა და შედეგად ადიგენის მუნიციპალიტეტში სამ ლოკაციაზე მოეწყო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა (საფეხმავლო ბილიკები, საკემპინგე, საპიკნიკე და თავშესაფრები კოტეჯების სახით), სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა როგორც ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა და პროფესიული კოლეჯის მასწავლებლები. გაუმჯობესებული სტანდარტების მიხედვით მომზადდა 5 კმ სატყეო გზის პროექტი და პროექტის მიხედვით განხორციელდა გზის

მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. შეძენილ იქნა საქმიანი ეზოს ოპერირებისა და ტყეში უსაფრთხოდ სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკა და აღჭურვილობა.

თანამშრომლობის გაგრძელების უზრუნველსაყოფად მომზადებულია საპროექტო განაცხადი მესამე ფაზისთვის, რაც მოიცავს სააგენტოს და ადგილობრივი

მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობისა და ენერგოეფექტურობის განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს.

კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის, შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის მიერ

დაფინანსებული მიმდინარე პროექტის - ECO.Georgia-ს ფარგლებში, „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა“ (GIZ) და სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა პროექტით შეთანხმებული აქტივობები 8 სამიზნე მუნიციპალიტეტში (ახმეტა, თელავი, ყვარელი, დედოფლისწყარო, თიანეთი,

ობურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური), მათ შორის სრულად აღიჭურვა და ადამიანური რესურსებით დაკომპლექტდა 15 საქმიანი ეზო, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მოეწყო სატყეო სამეურნეო გზა ზემო სურებში, შეძენილ იქნა ტექნიკა და აღჭურვილობა სატყეო სამეურნეო სამუშაოებისათვის, განხორციელდა სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით და სხვა.



des.gov.ge

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნურო დანახვებზე - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში. ეფექტური კონტროლის განხორციელების მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები, ქვეყნის მასშტაბით 24-სათვის განმავლობაში უწყვეტად პატრულირებენ, რეგულირების ობიექტების გეგმიურ თუ არაგეგმიურ ინსპექტირებასაც ახორციელებენ და სამინისტროს ცხელ ხაზზე დაფიქსირებულ შეტყობინებებზეც შესაბამის რეაგირებას ახდენენ.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია - გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიებით, გზმ-ის სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

ასოცირების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოებასთან ერთად, დეპარტამენტის წინაშე დაისახა ახალი ამოცანები, როგორცაა საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების კონტროლი; პლასტიკის პარკების, ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოებისას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი; მაცივარაგენტზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობის მფლობელის, ჰაერის კონდიციონერისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბური ტუმბოების მომსახურე პირების მიერ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი.

გააქტიურდა საქმიანობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების კონტროლის მიმართულებით. სამრეწველო სექტორიდან გარემოს დაბინძურების პრევენციისა და შემცირების მიზნით, მიმდინარეობს გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში (airMonitoring) ჩართული მსხვილი დამაბინძურებელი ობიექტების მუდმივი მონიტორინგი. ამ ეტაპზე ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია 34 საწარმო. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის

გაუმჯობესების მიმართულებით უმნიშვნელოვანესია, რომ დეპარტამენტის ფუნქციებს დაემატა ხილული გამონახობის მქონე სატრანსპორტო საშუალებების გამონახობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლი.

გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების ფაქტების პრევენციის, შემაკავებელი გარემოს შექმნის მიზნით, გატარდა არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება. მაგალითად, გამკაცრდა სანქციები შავი ზღვის დაბინძურებაზე - 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, 65 ათასი ლარიდან 100 000 ლარამდე გაიზარდა ჯარიმა გემიდან, სხვა მცურავი საშუალებებიდან, პლატფორმიდან, მილსადენებიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციებიდან ზღვის დაბინძურებაზე; ამავე პერიოდიდან, ელექტრომოტორული მოწყობილობა „თევზჭერის ელექტროაირადად“ დაკვალიფიცირდა და მის უკანონო ბრუნვაზე მკაცრი სანქციები დაწესდა.

ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგები

2024 წელს ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 8 250 ფაქტი. მათ შორის, 7 685 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტია, 565 ფაქტი კი, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და მასალები, შემდგომი რეაგირებისთვის, საგამოძიებო ორგანოებს გადაეცა.

2024 წელს, მიმდინარე მონაცემებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმის თანხამ 6 943 667 ლარი შეადგინა. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებული ოდენობა კი - 4 134 310 ლარია.

ყველაზე მეტი - 2191 ფაქტი, უკანონო ტყითსარგებლობას ეხება. მათგან 978 ტყის კანონმდებლობის დარღვევის, 676 - ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების, 537 კი - სახერხი საამქროს ტექნიკური რეგლამენტის დარღვევის ფაქტია. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უკანონო ტყითსარგებლობასთან ბრძოლის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, 93 უკანონო სახერხი საამქრო გამოავლინეს.

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, დეპარტამენტის თანამშრომლებმა ასევე გამოავლინეს ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის 1950, თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევის - 1 286, ატმოსფერული ჰაერის კანონმდებლობის დარღვევის - 1201, ნებართვის პირობების დარღვევის/უნებართვო საქმიანობის - 395, წიაღის უკანონო მოპოვების - 330, მიწის კანონმდებლობის დარღვევის - 319, წყლის კანონმდებლობის დარღვევის - 236 ფაქტი. ამავე პერიოდში, სხვა გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის 342 ფაქტია გამოვლენილი.

გამოვლენილი სამართალდარღვევები რეგისტრირების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: ყველაზე მეტი - 1397 ფაქტი გამოვლინდა კახეთში, 1182 სამართალდარღვევა აღკვეთილი დასავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე, 1091 - აჭარასა და გურიაში, 1013 - მცხეთა-მთიანეთში, 814 - ქვემო ქართლში, 744 - სამეგრელო-ზემო სვანეთში, 720 - სამცხე-ჯავახეთში, 529 - შიდა ქართლში, 113 სამართალდარღვევა შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა გამოავლინეს, 647 სამართალდარღვევა კი - დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის თანამშრომლებმა.

2024 წელს განხორციელდა 3278 რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) ინსპექტირება. მათ შორის, 392 ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება:

- 78 - გარემოზე ზემოქმედების ნებართვას,

ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული ობიექტი;

- 4 - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია;
- 7 - სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზია;
- 7 - სამონადირო მეურნეობის, თევზჭერის სპეციალური ლიცენზია;
- 23 - გმო სახეობების იდენტიფიცირების მიზნით სასოფლო-სამეურნეო ნათესებიდან ნიმუშების აღება/შემოწმება;
- 2 - „გადამენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის ლიცენზია;
- 271 - საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირება.

2024 წელს 215 რეგულირების ობიექტს წარედგინა ადმინისტრაციული მიწერილობები - მათი საქმიანობის ინსპექტირების ან ანგარიშგების და სხვა პროცესში გამოვლენილი დარღვევების გონივრულ ვადაში აღმოსაფხვრელად სავალდებულო ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების მიზნით.

2023 წლის 4 სექტემბრიდან ქვეყნის 4 დიდ ქალაქში - თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები გზებზე მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონახობის კონტროლს ახორციელებენ. 2024 წელს გამოვლინდა ავტოსატრანსპორტის გამონახობის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის 5563 შემთხვევა. მათგან, თბილისში დაწერილია 2827 საჯარიმო ქვითარი, ბათუმში - 947, ქუთაისში - 900, რუსთავში კი - 889 ფაქტი. 5563 საჯარიმო ქვითარიდან, 4875 ფიზიკური, 688 კი იურიდიული პირის სახელზეა დაწერილი.

სხალი ხაზი

2024 წელს „ცხელ ხაზზე - 153“ მიღებულია 2669 შეტყობინება გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევების თაობაზე, რაზედაც დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები.





anrs.gov.ge

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო



ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიზანი მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დაცვაა. სააგენტო შეიმუშავებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობის პროექტებს, თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ახორციელებს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციასა და ინსპექტირებას, ასევე, რადიოაქტიური ნარჩენების მართვასა და ბირთვულ ან/და რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას.

რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრის და რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, 2024 წელს სააგენტომ შეიმუშავა ტექნიკური რეგლამენტი „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ ცვლილების პროექტი, საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტები „ბირთვული და რადიოაქტიური მასალების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესი“ და „ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციის დროს ნიმუშების აღების წესი“ და „სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს 2024-2029 წლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.“

■ ავტორიზაციის სამსახურის საქმიანობა

ბირთვული და რადიაციული საქმიანობების სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია აღნიშნული საქმიანობის ავტორიზაცია, რომელიც ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას გულისხმობს.

2024 წელს გაიცა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 71 ლიცენზია, უარი ეთქვა - 3 ორგანიზაციას, გაუქმდა 64 ლიცენზია.

ლიცენზიის მფლობელ 99 ორგანიზაციას მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება, რაც რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების მოთხოვნებთან

შესაბამისობის დადგენის მიზნით, სააგენტოს სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვას და შესაბამისი დასკვნის მომზადებას გულისხმობს.

ლიცენზიის ფარგლებში მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტზე, ტრანზიტსა და შექმნა-გადაცემაზე 35 ნებართვა გაიცა; ნებართვის გაცემაზე უარი ეთქვა ერთ ორგანიზაციას.

■ ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის საქმიანობა

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზებული პირების მიერ საქმიანობის განხორციელებისას სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლისა და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პირობების დარღვევის გამოვლენის მიზნით, 2024 წელს, ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურმა განახორციელა 119 ინსპექტირება: 108 გეგმური და 11 არაგეგმური, როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პროფილის მქონე ორგანიზაციებში.

ჩატარებული ინსპექტირების შედეგად 34 ორგანიზაციაში გამოვლინდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამობა, რაზედაც 57 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა. გამოწერილი ოქმების შესაბამისმა ჯამურმა თანხამ 34 600 ლარი შეადგინა. დარღვევები ინსპექტირების ობიექტების 28 %-ში გამოვლინდა.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის სპეციალისტების მიერ განხორციელდა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე და შემოსულ შეტყობინებებზე - 21 რეაგირება.

2024 წლის განმავლობაში ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის სპეციალისტებმა განახორციელეს სააგენტოს დებულებით განსაზღვრული სერვისები - რადიომეტრიული გაზომვები.

■ გარემოს რადიაციული მონიტორინგი

ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის მიერ 2024 წლის განმავლობაში გარემოს რადიაციული ფონის მონიტორინგის ავტომატური სადგურების საშუალებით გარემოს ბუნებრივი რადიაციული ფონის მონიტორინგი განხორციელდა შემდეგ ლოკაციებზე: თბილისი, თელავი, მესტია, სარფი, ფოთი. აღნიშნულ რეგიონებში რადიაციული ფონის მომატება არ დაფიქსირებულა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს რადიაციის მონიტორინგის საერთაშორისო სისტემას (IRMIS) შეუერთდა. შესაბამისად, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მფლობელობაში არსებული გარემოს რადიაციული ფონის მონიტორინგის სადგურებიდან გამა გამოსხივების დოზის სიმძლავრის მაჩვენებლები ავტომატურად მიეწოდება IRMIS სისტემას და მიმდინარე რეჟიმში აისახება საერთაშორისო რუკაზე.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით შექმნილი IRMIS სისტემა მნიშვნელოვანი მექანიზმია ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციების ადრეული შეტყობინებისა და რეაგირების მართვის პროცესში. სისტემაში ჩართული სახელმწიფოების მონაცემები ბუნებრივი რადიაციული ფონის მიმდინარე რეჟიმში მონიტორინგისა და შესაბამისად, ეფექტიანი გადაწყვეტილებების დროული მიღების შესაძლებლობას იძლევა.

■ რადიოაქტიური ნარჩენების მართვის დეპარტამენტის საქმიანობა

2024 წელს, დეპარტამენტმა განახორციელა აქტივობები რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017-2031 წლების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, საერთაშორისო პროექტებისა და დებულებით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ეროვნული პროექტის GEO/9/015 ფარგლებში მოწვეულ ფრანგ და გერმანელ ექსპერტებთან ერთად, რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე მოწყობილ მსუბუქი კონსტრუქციის შენობაში, განხორციელდა

რადიოაქტიური ნარჩენების კასრებში დამწვნი და ნარჩენების მასელექციონული მოწყობილობის ინსტალაცია.

აშშ ენერჯეტიკის დეპარტამენტის მხარდაჭერით სრულად განახლდა რადიოაქტიური ნარჩენების საცავის ელექტრო გაყვანილობა და ფიზიკური დაცვის სისტემები.

შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ორგანოს მხარდაჭერით რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა ავზის რეკონსტრუქცია განხორციელდა, რომლის მიზანი რადიონუკლიდებით დაბინძურებული ნიადაგის შენახვაა. საანგარიშო პერიოდში, რადიოაქტიური ნარჩენების საცავში, განხორციელდა 60 ერთეული რადიოაქტიური წყაროს კონდიციონირება.

■ ბირთვული მასალების კონტროლი

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდა ბირთვული მასალების მფლობელი 6 ორგანიზაციის ინსპექტირება, აღრიცხვიანობაში დარღვევები არ გამოვლენილა.

■ დარიშხანის შემცველი ნარჩენების სისტემური მართვა

ლენტეხის რაიონში არსებული დარიშხანის შემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების მართვის მიზნით შეიმუშავდა დარიშხანის შემცველი ნარჩენების სარკოფაგის პროექტი; დასრულდა სამუშაოები სარკოფაგის აღმოსავლეთით, მდინარე ყორულდაშის, მონოლითური რკინაბეტონის ნაპირსამაგრი ჯებირის, წყალგამტარი არხისა და სალექარის მშენებლობა. კერძოდ, მოეწყო 224 მეტრი სიგრძის დამცავი ჯებირი, ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში კი 350 მეტრის სიგრძის რკინაბეტონის არხი გაკეთდა, რომელიც სარკოფაგის ტერიტორიას დატბორვისა და დაჭაობებისგან დაცავს.

2025 – 2026 წლებში სარკოფაგის მშენებლობის მესამე და მეოთხე ეტაპების განხორციელება იგეგმება. 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში დასრულდება სარკოფაგის მშენებლობა, შესაბამისად დარიშხანის ნარჩენებით შექმნილი, მრავალწლიანი, პრობლემა სრულად იქნება მოგვარებული.

